# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 12 მარტი 2005 №54 (2377) ფასი 50 თეთრი


## ჟირესი დღეს ისანში იქნება

საქართველოს ეროვნული ნაკრების თავკაცი ალენ ჟირესი გუშინ ღამით ჩამოვიდა თბილისში, ხოლო დღეს ისანში „ოლიმპის“ სტადიონზე „დინამო“ — „ზესტაფონის“ მატჩს დაესწრება.

ხვალ-ზეგ კი ფრანგი მწვრთნელი 26 და 30 მარტის უმნიშვნელოვანესი მატჩებისთვის ნაკრების შემადგენლობას დაასახელებს. ისე, 26-ში საბერძნეთთან ჯახამდე ჩვენი ჩემპიონატის კიდევ ორი ტურია და ცხადია, ჟირესი არც იმ მატჩებს დატოვებს უყურადღებოდ.



## ფოტოფინიში

ინტერვიუ ფეტის სტრაკოშასთან

2



## კევინ კიგანმა ფეხბურთს უგანა

5

# მიდით, ბორჯღალის ბიჭებო!

გუშინ საღამოს ჩამოფრინდნენ რუმინელი მორაგბეები და ასე უვარჯიშებლები, მაგრამ უძლიერესი შემადგენლობით შემოაბიჯებენ ეროვნულ სტადიონზე.

ეს ის გუნდია, 2001 წელს ბუქარესტში რომ დაუმარცხებიათ ბორჯღალოსნებს და რომლის ძლევა შეუძლებელი არასოდეს ყოფილა. თუმც მას შემდეგ მძიმე და მუშტებიან ჯახებში ყოველთვის რუმინელები იმარჯვებდნენ და მათ რჩებოდათ ანთიმოზ ივერიელის გარდამავალი თასი.

ბორჯღალოსნებს დღესაც უმძიმესი ბრძოლა ელით. მეტოქე ჩვენზე უკეთ თამაშობს და ახლაც ძალიან ძნელი იქნება მისი წამოქცევა, მაგრამ ეს შეუძლებელი არაა. მიდით ბორჯღალის ბიჭებო და აჩვენეთ თქვენს გულშემატკივარ მცირე ერს, რომ მოინდომეთ და უკან არ დაიხიეთ.



# სათასო კვარტეტი 26 მაისისკენ მიემართება

## თბილისი 20 პროცენტს ეჭიდება



გუშინ დავით ყიფიანის თასის ნახევარფინალური წყვილები გამოვლინდა. კენჭისყრამ ერთმანეთს

ლოკომოტივი — ვიტ ჯორჯია

თბილისი — ზესტაფონი

შეჰყარა. პირველი მატჩები 6 აპრილს, საპასუხო კი 4 მაისს გაიმართება.

ოთხივე ნახევარფინალისტი თანაბარი ძალისაა და კლუბების წარმომადგენლებს განსაკუთრებული ემოცია არ გამოუხატავთ. ფავორიტ-აუტსაიდერი არ არსებობს, მხოლოდ განმეორებითი შეხვედრის მასპინძლობა თუ შექმნის პატარა უპირატესობას — ასეთი იყო ოთხივე მხარის კომენტარი. ერთადერთი, „თბილისის“ დამფუძნებელმა მამუკა გუგეშაშვილმა თქვა, გამოუცდელი გუნდი გვყავს და ფინალში გასვლის 20 პროცენტი გვაქვსო...

# ფოტოფინიში

## ფეტიზ სტრაკოშა: ქართველებს კიდევ შევხვდები



*ფოტო სტრაკოშა — ქართველი ქომაგისთვის ეს სახელი კარგად უნდა იყოს ცნობილი. ალბანელ მეკარეს საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ იმდენჯერ უთამაშია, ზოგიერთ ჩვენიანთან დამეგობრებაც კი მოასწრო.*

*„შოთა არველაძე ჩემი მეგობარია“ — ამბობს ფოტო სტრაკოშა და არც სხვა ქართველებს ივიწყებს.*

*პირველი ნაცნობობა 1994 წლის დეკემბერს ტირანაში შედგა. მაშინ ჩვენებმა სწორედ შოთა არველაძის გოლით მოიგეს. მას შემდეგ ქართველმა ფორვარდმა ალბანელ მეკარეს კიდევ ოთხჯერ გაუტანა, ხოლო სტრაკოშას საქართველოს ნაკრებთან, ყველა, ექვსივე მატჩში ნათამაშევი აქვს*

*აი ამ, ალბანეთისთვის ლეგენდარულმა, მეკარემ ორიოდ დღის წინ თავის სანაკრებო კარიერის დამთავრების შესახებ გააკეთა განცხადება: „40 წლის ვარ. დროა ნაკრებს ჩამოვშორდე და სარბიელი ახალგაზრდებს დავუთმო“ — თქვა პრესკონფერენციაზე ფოტო სტრაკოშამ. „არა უშავს, ქართველებთან შეხვედრას კიდევ მოვახერხებ“ — ეს უკვე იმ ინტერვიუდანაა, რომელიც ფოტო სტრაკოშამ „სარბიელს“ მისცა.*

*და ვიდრე საქმეს შევუდგებოდით, ერთი კითხვაც გაგვახსენდა, ალბანეთის ხსენებაზე ალბათ ყველა ქართველ ქომაგს რომ ჰქონდა: ფოტო იქნება? საიდან მოდის ამ მეკარის სახელი — ფოტო? ამ კითხვაზე პასუხი, 16 წლის ინტერესის შემდეგ ასეთია:*

— ჩვეულებრივი ალბანური სახელი მქვია — ფეტიზი. სხვათა შორის, პირველი არ ხართ, ვინც ამას მეკითხება. ჩემი სახელია ფეტიზი, ფოტო კი შემოკლებული ვარიანტია. თუმცა იმდენად ვარ ფოტოთი მომართვას მიჩვეული, ფეტიზი რომ დამიძახონ, უკან არც მივიხედები.

**— ესე იგი, ფეტიზი მხოლოდ საბუთებით გქვიათ.**

— დიახ, ასეა, თქვენც ფოტოთი მომმართეთ.

**— კეთილი. ფოტო, 40 წლის ახლახან შესრულდით და კარიერის დამთავრებაზეც განაცხადეთ. რატომ მაინცდამაინც ახლა?**

— ჯერ ის დავაზუსტოთ, რომ ფეხბურთელის კარიერას ამ სეზონის დამთავრების შემდეგ დავემშვიდობები. თუმცა ნაკრებში, ალბათ, აღარ ვითამაშებ, დროა ადგილი ახალგაზრდებს დავუთმო. ნაკრების მწვრთნელმა ჰანს-პეტერ ბრიგელმა მთხოვა, თურქეთში და საბერძნეთში მატჩებისას გუნდთან ერთად ვყავი. მის სიტყვებს ვითვალისწინებ და ამ ორი თამაშისთვის ნაკრებში ვიქნები, ოღონდ არ ვითამაშებ.

**— და არც ივნისში, საქართველოს წინააღმდეგ?**

— სანაკრებო კარიერა დავამთავრე და საქართველოსთანაც ალბანეთის კარში სხვა მეკარეს ნახავთ.

**— ქართველებთან ჩატარებული ექვსი მატჩიდან ყველაზე კარგად რომელი გახსენდებათ?**

— ბოლო ორი. შარშანწინდელი, როცა საქართველოს ტირანაში 3:1 მოვუგეთ და შარშან, სექტემბერში, თბილისში გამართული შეხვედრა. მართალია, ქართველებთან 0:2 დავმარცხდით, მაგრამ, ძალიან კარგად ვითამაშეთ და მოგებაც შეგვეძლო.

**— ფიქრობთ, რომ საქართველო და ალბანეთი ერთი დონის გუნდები არიან?**

— დიახ, ასე ვფიქრობ. მეტიც, ჩვენ ერთნაირ ფეხბურთს ვთამაშობთ.

**— საქართველოსთან იმდენჯერ გითამაშიათ, ქართველ ფეხბურთელებს, ალბათ, ახლოსაც გაიცნობდით?**

— შემიძლია ვთქვა, რომ შოთა არველაძე ჩემი მეგობარია. მოედანზე დატანჯული ვყავდი, რამდენჯერაც ალბანეთთან ითამაშა, მგონი, იმდენი გოლი გამიტანა. მის გარდა კი ქართველებიდან კახა კალაძეს და ალექსანდრე იაშვილსაც კარგად ვიცნობ. თუმცა შოთა მაინც სხვაა — ძალიან მაგარი ფორვარდია და ჩემ კარში გოლებიც ამიტომ გაჰქონდა.

**— აბა, ახლა ქართველებს და შოთას ვეღარ შეხვდებით.**

— არა უშავს, ქართველებთან შეხვედრას კიდევ მოვახერხებ.

**— ზოგადად, საქართველოს ნაკრებზე რას იტყვით?**

— რა გითხრათ, ვფიქრობ, რომ შესარჩევ ჯგუფში წარმატების ისეთი შანსი როგორიც ახლა აქვს საქართველოს ნაკრებს, აქამდე არ ჰქონია. 1996 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპიც კარგად მახსოვს, საქართველომ ორივე მატჩი მოგვიგო და ჯგუფში მესამე ადგილზე გავიდა, მაგრამ მაშინ ჩვენს ჯგუფში გერმანია და ბულგარეთი იყვნენ და გამარჯვებულთა ვინაობაც წინასწარ იყო ცნობილი. ახლა სხვა ვითარებაა. საქართველოს მართლაც კარგი გუნდი ჰყავს და წარმატების შანსიც უწინდელზე ერთი-ორად მეტი აქვს. უახლოეს ტურში საქართველომ საბერძნეთს თუ მოუგო, ჩავთვლი, რომ საქართველო ჯგუფში გამარჯვების რეალური კანდიდატია.

**— ალბანეთმა ხელი ჩაიქნია?**

— ასე გამოდის. მით უმეტეს, ახლა თურქეთში და საბერძნეთში მატჩები გველის და ძნელია, სტუმრად ამ გუნდებთან წარმატებით თამაში.

**— გავიგეთ, ალბანეთის საპარლამენტო არჩევნებში აპირებთ მონაწილეობას. მართალია?**

— არა, როცა ფეხბურთელის კარიერას დავამთავრებ, სამწვრთნელო საქმეს დავიწყებ. პოლიტიკისგან კი ჯერ შორს ვარ, თუმცა მომავალში რა იქნება, ვერ გეტყვით, ეგებ პარლამენტარობაზეც დავფიქრდე.

*ასე დავემშვიდობეთ საქართველოს ნაკრების განუყრელ მეტოქეს — ფეტიზ სტრაკოშას მეკარეს, რომელმაც სანაკრებო კარიერა 15 წლის წინ რეიკიავიკში, ისლანდიასთან 0:2 წაგებულ მატჩით დაიწყო და მას შემდეგ, ალბანეთის ნაკრებში კიდევ 72-ჯერ ითამაშა. მათ შორის, ექვსჯერ საქართველოსთან...*

**ქოგა ინასარიძე**



ფოტო არქივიდან: სტრაკოშას შოთა არველაძე აწი ვეღარ გაუტანს



## ირაკლი მოდებაძეს ზაფხულამდე ჩაიმუხლა

**საქართველოს** ახალგაზრდული ნაკრების ლიდერი ირაკლი მოდებაძე ზაფხულამდე ვეღარ ითამაშებს — ასეთი მწარე დიაგნოზი დაუსვეს ზაპოროჟიეს „მეტალურგის“ ქართველ თავდამსხმელს გერმანელმა ექიმებმა.

მოდებაძის მუხლს დაახლოებით სამი კვირის განმავლობაში იკვლევდნენ უკრაინელი ექიმები, თუმცა მერე კლუბმა გადაწყვიტა, ჩვენებური გერმანიაში გაეშვა. იქ კი ირაკლის ოპერაციის გაკეთება ურჩიეს — მარჯვენა მუხლზე დაზიანებული მენისკის სხვაგვარად განკურნება თითქმის წარმოუდგენელი ყოფილა.

ირაკლისაც სხვა რა გზა ჰქონდა, ოპერაცია გაიკეთა და... სულ მცირე, ორი თვე სირბილიც კი აეკრძალა. დანარჩენს სარეაბილიტაციო პერიოდი გამოაჩენს.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოდებაძისთვის ეს სეზონი უკვე დამთავრდა და „მეტალურგის“ გარდა, ბუნებრივია, საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებსაც ვერაფრით შეეშველება.

— ახლა თავს უკეთ ვგრძნობ. იმედი მაქვს, ყველანაირი უსიამოვნება დამთავრდა და ეს წყეული ტრავმა საბოლოოდ მოვიშორე. ახლა მთავარია, მალე გამოვჯანმრთელდე და მოედანზე დავბრუნდე — ამბობს ირაკლი, ვისაც მუხლის ტრავმის გამო წინა სეზონიც ფაქტობრივად სანახევროდ გაუცდა.

**კახა შალამბერიძე**

## წერეთელი ბათუმშია

**„ბათუმმა“** მამუკა წერეთელი დაიმატა. საქართველოს ნაკრების ყოფილი მცველი თბილისის „დინამოდან“ წასვლის შემდეგ ირანულ „საბა ბატერში“ ირიცხებოდა, თუმცა კარიერა ვერ აიწყო და მიმდინარე სეზონის ბოლომდე აჭარლებს შეეშველება.

როგორც ზღვისპირელთა გუნდის თავკაცმა ამირან გოგიტიძემ გვითხრა, წერეთელი დღეს „თბილისის“ წინააღმდეგ ვერა, მაგრამ უკვე მომდევნო ტურში, შესაძლოა ითამაშოს.

თუმცა „ბათუმი“ დანაკლისსაც ვერ ასცდა — მეკარე რამაზ სოლოლაშვილმა მძიმე ტრავმა მიიღო და სეზონი, ფაქტობრივად, დაამთავრა...

### ინგლისი

კონფერენსლიგა. XXXIV ტური

კოვენი 2:2 ალდერშოტი

### გერმანია

II ბუნდესლიგა. XXV ტური

ობერჰაუზენი 0:3 კიოლნი

აეუ 3:2 ერფურტი

ზაარბრიუკენი 0:1 დინამო

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა. XXIV ტური

ვოლფსბურგი (მ) 0:1 ვერდერი (მ)

ბრაუნშვაიგი — მიუნსტერი გადაიდო

სამხრეთ რეგიონალლიგა. XXI ტური

მიუნხენი (მ) — ბაიერნი (მ) გადაიდო

კობლენცი — ზიგენი გადაიდო

### იტალია

სერია B. XXX ტური

პესკარა 2:1 პერუჯა

### ბელგია

ჟუპილერლიგა. XXV ტური

მუსკრონი 0:3 სტანდარდი

### პორტუგალია

სუპერლიგა. XXV ტური

პორტუ : ნასიონალი გვიან დამთავრდა

### საფრანგეთი

II დივიზიონი. XXIX ტური

გენიონი 1:3 შატორუ

გრენობლი 0:2 ბრესტი

რეიმსი 0:5 დიჟონი

ლე ავრი 0:0 სედანი

კლერმონი 0:0 ანჟე

გენგამი 2:1 ლავალი

ამიენი 0:0 ლორიანი

ნიორი 1:2 ნანსი

ლე მანი 2:0 მონპელიე

### ჰოლანდია

I დივიზიონი. XXV ტური

ტვენტე 3:0 როზენდალი

II დივიზიონი. XXIV ტური

ტელსტარი 2:1 ექსელსიორი

სიტარდი 1:3 ჰელმონდი

ზვოლე 0:3 კამბური

ეინდჰოვენი 1:1 ოსი

დორდრეხტი 0:5 მაასტრიხტი

სპარტა 6:1 ჰაარლემი

ვეენდამი 1:0 ემენი

ვენლო 3:0 ვოლენდამი

ჰერაკლესი 1:3 იგლსი

### ავსტრია

I დივიზიონი. XXIV ტური

ლეობენი : კერნტენი გადაიდო

ალტახი : ლინცერი გადაიდო

უნტერზიბენბრიუნი : გრატკორნი გადაიდო

ვიორგლი : კაფენბერგი გადაიდო

რიდი 2:1 ავსტრია (ლ)

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

**საქართველოს XVI ჩემპიონატი**

**უმაღლესი ლიგა**
**მეორე ეტაპი**

**23 ტური ანონსი**

# გახსოვთ 14 თებერვალი?

*ტური ოცდამესამე კია, მაგრამ მეორე ეტაპიდან თუ დავიწყებთ ათვლას, ზამთრის შესვენების შემდეგ გუნდები მეხუთე ტურს ითამაშებენ.*

*„დინამო“ ჩემპიონი გახდებაო, ყველა გაიძახის, მაგრამ ისიცაა, რომ ჩემპიონატის მეორე ეტაპი მოთელვის შემდეგ ახლა-ლა ხურდება და ვინ დახურდავდება, ანი უფრო კარგად გამოჩნდება.*

*ერთი სიტყვით, ვინც ჩვენს ეროვნულ ჩემპიონატს აგურმანებს, ნოყიერი სადილის დრო დაუდგა ინტრიგებითა და ვნებებით მოოხშივრე მატჩებისა.*

**დავით თავართქილაძე**



„ზესტაფონმა“ „დინამოს“ ერთხელ უკვე გადაუკეტა გზა. შეძლებენ თბილისელები რევანშის აღებას?

თბილისი. 12 მარტი. 14 საათი. ოლიმპი

## დინამო — ზესტაფონი

**მსაჯები:** ლ. ფანიაშვილი; ზ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისი), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); ა. შილაკაძე (თბილისი); **ინსპექტორი:** ა. მილჩენკო

**14 თებერვალისთვის** გია გეგუჩაძეს და მის „დინამოს“ შურისძიება დღეს მართებთ — მაშინ „ზესტაფონმა“ თასის მერვედფინალის საპასუხო შეხვედრაში „დინამოს“ შინ 1:0 მოუგო და მეოთხედფინალში გავიდა — ასე ადრიანად „დინამო“ მანამდე არასოდეს გავარდნილა თასიდან.

ახლა ახალფეხბურთელებშემატებული „დინამო“ უფრო შეთამაშებული და დალაგებული გუნდია, ვიდრე 14 თებერვალს იყო, მაგრამ იგივეს თქმა შეიძლება „ზესტაფონზეც“. თუმც „დინამოს“ იმედი იმიტაც იზრდება, რომ წინა ტურში გეგუჩაძის გუნდმა ქუთაისის „ტორპედოს“ ლანჩხუთში 4:1 მოუგო. „დინამოს“ შანსი მცირედით კიდევ იმიტომ იზრდება, რომ შუა კვირაში „ზესტაფონს“ არ დაუსვენია — 8 მარტს თასის მეოთხედფინალის საპასუხო შეხვედრაში „ბათუმი“ ისტუმრა და მძიმე ბრძოლაში 1:0 დაამარცხა.

სადღეისოდ „დინამოს“ ტრავმიანი არავინ შემატებია, ირაკლი ზოიძე და შოთა გრიგალაშვილი ადრევე იყვნენ დაშავებულები, ხოლო შუახაზელმა შოთა ბაბუნაშვილმა წინა ტურში ყვითელი ბარათი მიიღო და დღეს ვერ ითამაშებს, დისკვალიფიცირებულია.

„ზესტაფონს“ „ბათუმთან“ შემტევი ზაზა ზირაქიშვილი დაუშავდა, თუმც ტერფმტკივანმა ფორვარდმა დღეს შესაძლოა, მაინც ითამაშოს. ფეროელებს დისკვალიფიცირებული ჰყავთ მცველი თენგიზ ჩიკვილაძე, ვინც „ბათუმთან“ მატჩში საკმაოდ კარგად გაისარჯა და შესაბამისად წონიანი დანაკლისია „ზესტაფონისთვის“.

გამოცდილებით და კლასით „ზესტაფონის“ ფეხბურთელები დიდად არ ჩამოუვარდებიან დინამოელებს, ზოგ ზესტაფონელს სულაც მეტი გამოცდილებაც კი აქვს და შანსებზე ლაპარაკი ალბათ არც ღირს. თანაც თემურ მახარაძე ის მწვრთნელია, დაცვიდან თამაში რომ არ ესწავლება და თან გუნდში ზურაბ იონანიძე ჰყავს.

საყველპურო ლოგიკით „დინამომ“ უნდა მოიგოს, რადგან „ზესტაფონი“ ჩემპიონობისთვის არ იბრძვის, მაგრამ თასზე უკვე დაამარცხა „დინამო“.

მაგრამ ფეხბურთი ახლა ზესტაფონის მოსახლეობისთვის ჟანგბადივითაა და „ზესტაფონიც“ ვალდებულია, ხალხს ჟანგბადი არ გადაუკეტოს.

ბოლნისი. 12 მარტი. 14 საათი. თამაზ სტეფანია

## სიონი — ვიტ ჯორჯია

**მსაჯები:** ა. ორდინიძე (ონი); მ. ელიკაშვილი, ზ. ჯვარიძე; ა. მეშკოვი (სამივე თბილისი); **ინსპექტორი:** ი. მჭედლიშვილი



დავით დიღმელაშვილს (შუაში) და „ვიტ ჯორჯიას“ კბილებალესილი ბოლნისელები ელიან

**თბილისის** „ვიტ ჯორჯია“ ბოლო შეხვედრაში მხოლოდ ფრეს გამორჩა შინ „ბათუმთან“ და ჩემპიონობის შენარჩუნებაზე ოცნებას ალბათ შეეშვა, თუმც ოცნებას კაცი არ მოუკლავს და ვინ იცის, იქნებ მაინც აბობოქრდეს „ვიტ ჯორჯია“.

ხოლო ბოლნისის „სიონისთვის“ ბობოქრობა ოცნება კი არა მოვალეობაა — გუნდმა მეორე ეტაპისთვის თვალებში გამოიხედა და უმაღლეს ლიგაში დარჩენის შანსიც მიეცა.

როგორც უნდა იყოს, ბოლნისში თამაში ძნელია და „სიონი“ ალბათ არ წააგებს, თუ, რა თქმა უნდა, ვიტელ ოთარ მარცვალაძეს კარგად შებოჭავს.

ფოთი. 12 მარტი. 14 საათი. ფაზისი

## კოლხეთი — ლოკომოტივი

**მსაჯები:** პ. დოგრაშვილი; კ. გაბრიაძე (ორივე ქუთაისი), გ. ცირდავა (გულრიფში); გ. კიკაჩეიშვილი (ქუთაისი); **ინსპექტორი:** გ. სორდია

**მშვიდად** ყოფნის უფლება ბოლნისელთა დარად არც ფოთელებს აქვთ. „კოლხეთს“ ძალიან კერკეტა მეტოქე ჰყავს და მიუხედავად იმისა, რომ შინ თამაშობს, ალბათ ფრითაც კმაყოფილი დარჩება, თუმც არც სამი ქულა იქნება „კოლხეთისთვის“ ზღაპარი.

მოკლედ, ძალიან ძნელადპროგნოზირებადი წყვილია, მაგრამ გავბედავთ და ვიტყვით, რომ „კოლხეთი“ ალბათ არ წააგებს.

ბათუმი. 12 მარტი. 14 საათი. დინამო

## ბათუმი — თბილისი

**მსაჯები:** ზ. ანიაშვილი (გორი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), ა. სამხარაძე (სოხუმი); ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა); **ინსპექტორი:** ა. დურსუნიში

**„ბათუმმა“** ზესტაფონში თასზე ისე იომა, რომ შინ აბა, ვინ უნდა წააქციოს?! აჭარლები ბოლო თამაშებში საკმაოდ მობილურად, კონცენტრირებულად გამოიყურებოდნენ, მაგრამ მაინცდამაინც შინაარსიან ფეხბურთს ვერ აჩვენებენ.

„თბილისი“ კი „დინამოს“ უახლოესი მდევარია. მის თავკაც ლევის ცაკარიასსაც გონებაც კარგად უჭრის და უყისმათობაზეც ვერ დაიჩივლებს. „თბილისს“ „დინამოდან“ დაუბრუნდა ახალგაზრდული ნაკრების მარცხენაფლანგელი რევაზ გეწაძე, თუმც მას „თბილისში“ თამაშის უფლება ჯერ არ აქვს, ამის ნება ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომმა უნდა მისცეს, რომელიც ჯერ არ გამართულა.

ერთი სიტყვით, თუ „თბილისს“ ბათუმში ფეხი არ დაუცდება, ჩემპიონატს აზრი და ინტერესი მოემატება.

ჭიათურა. 12 მარტი. 14 საათი. ცენტრალური

## დილა — ტორპედო

**მსაჯები:** ლ. სილაგავა (თბილისი); ი. აფციაური (დუშეთი), ზ. ხუციშვილი; მ. მაისურაძე (ორივე თბილისი); **ინსპექტორი:** გ. ძამუკაშვილი

**წინა ტურში** ორივე გუნდი დამარცხდა, თუმც „დილამ“ არცთუ ურიგოდ ითამაშა სტუმრად „თბილისთან“, რაც იმის მანიშნებელი უნდა იყოს, რომ „ტორპედოს“ არხეინად თამაშის უფლება არ აქვს.

მატჩი ჭიათურაში გაიმართება, რადგან გორის სტადიონი დისკვალიფიცირებულია 1 მარტის ოცდამეერთე ტურის „დილა“—„ვიტ ჯორჯიას“ თამაშზე გორელი გულშემატკივრების უსაქციელობის გამო.

თუ „ტორპედო“ ჩემპიონობაზე ფიქრობს, ჭიათურაში მხოლოდ სამი ქულა ჩაეთვლება კარგ შედეგად.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 22 | 14 | 3 | 5 | 45:22 | 45 |
| თბილისი | 22 | 13 | 4 | 5 | 44:26 | 43 |
| ტორპედო | 22 | 11 | 7 | 4 | 34:18 | 40 |
| ვიტ ჯორჯია | 22 | 10 | 6 | 6 | 36:26 | 36 |
| ლოკომოტივი | 22 | 8 | 10 | 4 | 29:18 | 34 |
| ზესტაფონი | 22 | 9 | 2 | 11 | 21:38 | 29 |
| ბათუმი | 22 | 6 | 8 | 8 | 25:20 | 26 |
| კოლხეთი | 22 | 6 | 5 | 11 | 22:29 | 23 |
| სიონი | 22 | 6 | 2 | 14 | 20:46 | 20 |
| დილა | 22 | 2 | 3 | 17 | 14:47 | 9 |


**ფეხბურთი**

ფკ ამერის სკოლა
**პირველი ლიგა**
**13 მარტი**
მეცხრამეტე ტური
**ამერი — ოლიმპი**
თბილისი — თბილისი
დასაწყისი 14 საათზე.
დასწრება უფასოა
მის: თიანეთის გზატკეცილი 26
(გლდანულას გადასახვევთან)
მატჩის მსვლელობა ონლაინ-რეჟიმში
საიტზე: www. fcameri.ge

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

# პრეტენზია გაქვს? ჩემთან გაარჩიე!

## პროფლიგამ ენამწარეობა 500 ლარად შეაფასა

*საქართველოს ჩემპიონატი ვერ დგას და ალბათ კარგა ხანს ვერც დადგება იმ დონეზე, ყველაფერი საათივით იყოს აწყობილი, მაგრამ კლუბის წარმომადგენლის არაკორექტული საჯარო განცხადებები მსაჯებისა თუ მეტოქის მიმართ ხომ უფრო აკნინებენ მას. ამ და სხვა პრობლემების მოსაგვარებლად გუშინ საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის გამგეობის სხდომა გაიმართა. პროფლიგის პრეზიდენტმა დიმიტრი რამიშვილმა და გამგეობის წევრებმა — ლევან ყიფიანმა („ლოკომოტივი"), ასტამურ აჩბამ („ბათუმი"), მალხაზ კაკაურიძემ („ვიტ ჯორჯია") და კახა ჭუმბურიძემ („დინამო") საათზე მეტხანს ითათბირეს. გამგეობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები კი პროფლიგის გენერალურმა მდივანმა რევაზ ლორთქიფანიძემ გაგვაცნო*



პროფლიგის გენერალური მდივანი რევაზ ლორთქიფანიძე

პფლ-მ 2005-2006 წლების სეზონისთვის უმაღლესი და პირველი ლიგის კლუბებისთვის საჭირო ლიცენზირების კრიტერიუმები შეიმუშავა. გარკვეული შემსუბუქება მოხდა ინფრასტრუქტურულ კრიტერიუმში, რადგანაც ამ მხრივ ჩვენს კლუბებს ძალიან უჭირთ და შეღავათების გარეშე ჩემპიონატი საერთოდ ვერ ჩატარდება. კერძოდ, ინფრასტრუქტურაში შედის მინდვრის ხარისხი, გასახდელები, სამუშაო პირობები მასმედიისთვის, სტუმართა გულშემატკივრებისთვის ტრიბუნებზე ადგილების გამოყოფა.

რაც შეეხება ფინანსურ კრიტერიუმს, კლუბებმა სასეზონო 300 ათასი ლარის საბანკო გარანტია უნდა წარადგინონ, ჩემპიონატში მოულოდნელად რომ არ შეექმნათ პრობლემები. ბოლო „მარგალიტები" ამ მხრივ „რუსთავი" და „ქობულეთი" იყვნენ, რომლებმაც მიმდინარე სეზონის დასაწყისში ჩემპიონატში სამონაწილეო თანხა ვერ მოიძიეს.

გამგეობამ განიხილა პროექტი მინდვრის გამოსაყვანად სასათბურე მეურნეობების შექმნის შესახებ. ეს ექსპერიმენტული პროექტია და რეალურად თუ განხორციელდა, ერთ წელიწადში საქართველოში 6 მაღალი ხარისხის გაზონი იქნება, 5 წლის განმავლობაში კი პრობლემა საერთოდ მოიხსნება.

მსჯელობა იყო თავში ნახსენებ არაკორექტულ განცხადებებზეც, ანუ პროფლიგის ეთიკის კოდექსში ის ცვლილება მოხდა, რომ საჯაროდ მწარე გამონათქვამებისთვის 500-ლარიანი ჯარიმა დაწესდა. თუ კლუბის წარმომადგენელს პრეტენზიები აქვს, პროფლიგის მესვეურებთან უნდა გაარჩიოს. თუ თავშეკავება არ შეუძლია (და ასეთი პრეცედენტები ბოლო ტურებში ძალიან მომრავლდა), 500 ლარს გადაიხდის.

როგორი იქნება პროტესტის ფორმა? აქამდე მომჩივანი წინასწარ 1000 ლარს იხდიდა და თუ მისი პოზიცია გამართლდებოდა, თანხა უკან უბრუნდებოდა. ახლა კი სააპელაციო გადასახადი 400 ლარამდე შემცირდა, რათა მომჩივანი უფულობის გამო არ შეიბოჭოს. ცხადია, პროტესტის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში, ეს 400 ლარი დაუბრუნდება.

პფლ-მ ფეხბურთელთა ასაკობრივ ცენზშიც შეიტანა ცვლილება. კერძოდ, აქამდე თუ ზღვარი 1988 წელს დაბადებულებზე იყო, ახლა უმაღლესი და პირველი ლიგის გუნდებს 1989 და 1990-წლიანებიც შეუძლიათ ათამაშონ...

გუშინვე გადაწყდა, რომ რევაზ გეწაძე „დინამოდან" ისევ „თბილისს" დაუბრუნდება. გეწაძე ერთი თვის წინ გადავიდა გია გეგუჩაძის გუნდში, თუმც მხოლოდ „დინამო 2"-ში ითამაშა და, წესდების თანახმად, ამ შემთხვევაში ფეხბურთელს კლუბის გამოცვლა 31 მარტამდე შეუძლია. ცხადია, გეწაძის თემა პროფლიგის პრეროგატივა არაა — რევაზ ლორთქიფანიძემ მხოლოდ ის თქვა, ჩვენ ამ მოთამაშეს ხელს არ შევუშლითო. როგორც გაირკვა, არც „დინამოა" გეწაძის გაშვების წინააღმდეგი.

ფეხბურთელის საკითხი საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების თავკაც გოჩა ტყებუჩავასაც ძალიან აინტერესებდა, რომელმაც განაცხადა, კარგი იქნება, თუ ამ ფეხბურთელს სათამაშო პრაქტიკა არ მოაკლდება და ნაკრების მოახლოებულ შესარჩევ მატჩებს კარგ ფორმაში შეხვდებაო.

**ილია ნანოგაშვილი**





## დემეტრაძეს შევჩენკო დაარიგებს

**უკრაინის** ჩემპიონატის მეორე წრე ახლახან დაიწყო და დონეცკის „მეტალურგმა" უკვე მწვრთნელი შეიცვალა — სერბი სლავოლიუბ მუსლინის ნაცვლად გუნდს ვიტალი შევჩენკო ჩაუდგება სათავეში.

ეს ამბავი ჩვენთვის იმითაა საინტერესო, რომ „მეტალურგში" საქართველოს ნაკრების თავდამსხმელი გიორგი დემეტრაძე თამაშობს, ვისაც მუსლინთან მთლად თბილი ურთიერთობა ჰქონდაო, ნამდვილად ვერ ვიტყვით.

სერბმა სპეციალისტმა გადადგომის თაობაზე განცხადება თავად დაწერა — მიზეზად ოჯახური პრობლემები მოიყვანა და დონეცკიდან აიბარგა. უკრაინელი ჟურნალისტების თქმით, მუსლინმა ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა, თორემ ასეთი უსახური შედეგების გამო ისედაც უპირებდნენ მოხსნასო.

ერთი სიტყვით, დემეტრაძეს და მის თანაგუნდელებს ახალი მწვრთნელი ჰყავთ. ვიტალი შევჩენკოს „მეტულურგამდე" ბოლივიური „ბოლივარი", ებრაული „ჰაპოელი" და „ირონი", ეკატერინბურგის „ურალმაში", იჟევსკის „გაზპრომი", ელისტის „ურალანი", მოსკოვის „ტორპედო", რამენსკოეს „სატურნი" და „როსტოვი" გაუწვრთნია.

**კახა შალამბერიძე**

## ჭელიძემ და პატარა ლოკომ ნულებით დაიწყეს



**საქართველოს** ახალგაზრდული ნაკრების ფორვარდმა გიორგი ნოდარის ძე ჭელიძემ მოსკოვის „ლოკომოტივის" დუბლშემადგენლობაში პირველი ოფიციალური მატჩი ითამაშა.

რუსული პრემიერლიგა დღეს იწყება, გუშინ კი დუბლების ჩემპიონატმაც აიღო სტარტი და „ლოკომ" შინ 0:0 ითამაშა დებიუტანტ „ტომთან" — ჭელიძე 55-ე წუთზე შევიდა შეცვლაზე.

„პაჭელომ" „ლოკომოტივთან" უკვე გააფორმა ერთწლიანი კონტრაქტი და აქვე შეგახსენებთ, რომ რკინიგზელთა დუბლებს ანთალიურ შეკრებაზეც ახლდა, სადაც გოლის გატანაც მოასწრო.

დღეს კი მალხაზ ასათიანის და მიხეილ აშვეთიას „ლოკომოტივიც" ჩაება საჩემპიონო რბოლაში.

**ილია ნანოგაშვილი**

## თქვენი ინტერვიუ ზურაბ ხიზანიშვილთან

«რეინჯერსი» გლაზგო, შოტლანდია



*რუბრიკის მესამე რესპონდენტი ლევან კობიაშვილისა და შოთა არველაძის შემდეგ ზურაბ ხიზანიშვილი გახლავთ, ეროვნული ნაკრების მესამე თაობის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული წარმომადგენელი, ვისაც ალენ ჟირესმა 9 თებერვალს ლიტვასთან ამხანაგურ მატჩში კაპიტნის სამკლავურიც კი ანდო.*

*ახალგაზრდა უცოლო კაცის გლაზგოური ცხოვრების დეტალები შესაკითხად ალბათ იქით იქნება, ხოლო აქეთ უფრო ვინძლო საფეხბურთო კითხვები წამოვა.*

*მოკლედ, იაქტიურეთ და კითხვები 18 მარტამდე მოგვაწოდეთ, ხოლო „თქვენს ინტერვიუს" ხიზანიშვილთან არაუგვიანეს 23 მარტისა იხილავთ.*

მოგვმართეთ ტელეფონი: 38 11 14; ელექტრონული ფოსტა: Starmail@Caucasus.net

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კევინ კიგანმა ფეხბურთს შეგანა

*კევინ კიგანი „მანჩესტერ სიტის“ მწვრთნელი აღარ არის. წუხელ წარსულის ერთ-ერთმა უდიდესმა ფეხბურთელმა, შემდგომ კი მწვრთნელმა კევინ კიგანმა გააუქმა კონტრაქტის დარჩენილი 15 თვე*



**გაზეთი** „სანი“ წერს: „კიგანი ოეთრ ცხენზე მჯდომი, საბრძოლო ყიჟინით შევარდა კლუბში, ფანები გამოაფხიზლა და გული ოცნებებით აუვსო. მაგრამ წუხელ, მან ხელი დაუქნია არა მარტო „სიტის“, არამედ ფეხბურთსაც“ — განშორების უკანასკნელი წვეთი კიგანის გულში სათასო მარცხს ჩაუგდია: იანვარში „სიტიმ“ პირველი ლიგის „ოლდემთან“ წააგო.

ეს მარცხი კიგანს ეგრეც ვერ გადაუხარშავს და გადაწყვეტილება მიუღია: 15 თვის თავზე მენეჯერი ისედაც აპირებდა წასვლას, ამიტომ ზაფხულში რამდენიმე კარგი ფეხბურთელის ყიდვას აპირებდა, რათა თავისი ბოლო სეზონი განსაკუთრებულად ჩაეტარებინა. თუმცა, კიგანს თავიდანვე აგრძნობინეს, რომ კლუბი თუ ვინმეს იყიდდა, მხოლოდ ბოსმანური წესით, რაც „სიტის“ ბევრს არაფერს უშველიდა.

გასულ პარასკევს, „სიტიმ“ „ბოლტონთან“ წააგო და კლუბის მმართველ საბჭოშიც ალაპარაკდნენ, კევინი ველარას გვშველისო, თუმცა, მისი გაშვება არ მოუთხოვიათ. თავად კიგანს უთქვამს, თუ გინდათ წავალო, რაზეც თავმჯდომარე ჯონ უორდლს განუცხადებია, მართლაც განშორების დროაო.

სიმართლე რომ ითქვას უორდლი ბოლომდე მხარს უჭერდა კიგანს და მის იდეებს. ამიტომაც განშორება იოლი და მეგობრული გამოვიდა.

70-იანი წლებიდან მოყოლებული, ანუ ნინი ბრუკის მენეჯერობის შემდეგ კიგანი პირველი მწვრთნელია, ამდენხანს რომ გაძლო „სიტიში“ და კლუბს დაანახა, თუ ფული და განწყობა იქნა, წარმატებას სულ იოლად მიაღწევო.

მისი მიზანი „სიტის“ პრემიერლიგის ხუთეულში შეყვანა და მანჩესტერის ცისფერ და წითელ უბნებს შორის მანძილის შემცირება იყო. მან ეს მხოლოდ ნაწილობრივ მოახერხა, როცა პირველი დივიზიონიდან მოაბრუნა „სიტი“ და სტაბილურობა მიანიჭა. შარშან „სიტი“ ვარდებოდა, წლეულს, ცხრილის შუაში იყო.

ტრანსფერებზე კიგანმა 50 მილიონ გირვანქაზე მეტი დახარჯა. ამ ზაფხულისთვის კი „სიტის“ ჯიბე სრულიად ცარიელი იყო: გასულ ზაფხულს კლუბმა მხოლოდ 25 ათასი დახარჯა სიყიდლებზე.

ასე რომ, ოპტიმიზმის საბაბი არ იყო. საერთოდაც, კიგანი თვლიდა, რომ ფეხბურთს ბობოლა კლუბები იპყრობენ. კიდევ ერთი პრობლემა ის იყო, რომ კიგანი მისთვის საყვარელ, ლაღ და შემტევ ფეხბურთს იშვიათად ათამაშებდა „სიტის“, რადგან შედეგის და ქულების მუდმივი საჭიროება რისკის საშუალებას არ აძლევდა. ხოლო როგორია მისი ფეხბურთი კიგანმა „ნიუკასლში“ ხუთწლიანი მწვრთნელობის დროს აჩვენა. მერე ის ნაკრების სათავეში იყო და იქედანაც უცებ, მოულოდნელად წავიდა. მერე პრემიერლიგაში ამოიყვანა „ფულემი“ და ამით ხალხს ის კრიტიკა დაავიწყა, ნაკრების მწვრთნელობისას რომ შეხვდა.

ის თბილი იყო მედიასთან და საერთოდაც გამორჩეული ვინმეა. ალბათ, ამ თავისი სითბოთი ცდილობდა ნიკოლას ანელკას მორჯულებას, თუმცა, ესეც არ გამოუვიდა.

მოკლედ, 54 წლის კევინ კიგანი ფეხბურთიდან წავიდა. ამბობენ, რომ სამუდამოდ.

ეს დანაკარგია.

„მანჩესტერ სიტის“ ხელმძღვანელთა განცხადებით, ჯერჯერობით კიგანის ადგილს მისი ასისტენტი სტიუარტ პირსი დაიკავებს.

**ირაკლი გამყრელიძე**

# დაივიწყე და მიიღებ დაუვიწყებელს



**დავუბრუნდეთ** ჩემპიონთა ლიგაში „იუვენტუსისგან“ „რეალის“ ძლევას. შეგახსენებთ, რომ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ პირველ შეხვედრაში მადრიდელებმა რაულის გოლით 1:0 მოუგეს ტურინელებს, „დელე ალპიზე“ კი ჯერ, 57-ე წუთზე დავიდ ტრეზეგემ აკრობატული დარტყმით გაათანაბრა საერთო ანგარიში, ხოლო შემდეგ, დამატებით დროში მარსელო ზალაიეტამ „ელ გალაქტიკოს“ იმედთა მკვლელი დარტყმა შეასრულა.

„იმიტომ გავიმარჯვეთ, რომ პირველი მატჩის შედეგის დავიწყება მოვახერხეთ და არც კრიტიკოსებს დავუგდეთ ყური, — ახსნა „ბებერი ქალბატონის“ წარმატების მიზეზები მისმა კაპიტანმა ალესანდრო დელ პიერომ, — ზეწოლამ არ დაგვთრგუნა, პირიქით, თავი ხელში ავიყვანეთ და მივაღწიეთ იმას, რამაც უდიდესი სიამოვნება მოგვანიჭა. ეს უბრალოდ დაუვიწყებელი იყო“.

დამარცხებულთა ბანაკში კი... თუმცა, მადრიდელებს ჯობს უკომენტაროდ მოვუსმინოთ.

ვანდერლეი ლუშემბურგო: „როცა მეორე გოლი გავუშვით, გასათანაბრებლად დრო კიდევ გვრჩებოდა, მაგრამ მივხვდი, რომ ჩემპიონთა ლიგის მიღმა დავრჩით. ახლა პრიმერადივიზიონზე უნდა ვიფიქროთ. მართალია, „ბარსელონა“ 8 ქულით გვისწრებს, მაგრამ პირველობის შანსი მაინც გვაქვს და ის ხელიდან არ უნდა გავუშვათ. რონალდო სამართლიანად გააძევეს, არადა მას რომ ტაკინარდის უხეშობისთვის არ ეპასუხა, უმცირესობაში „იუვენტუსი“ დარჩებოდა“.

რონალდო: „მართალი გითხრათ, დარწმუნებული ვიყავი, რომ მეოთხედფინალში ჩვენ გავიდოდით. საგოლე შანსები რომ გამოგვეყენებინა, ასეც მოხდებოდა. გაძევებაზე კი რა გითხრათ, დღესაც ვერ მომინელებია ჩემი საქციელი. მსაჯი სწორად მოიქცა მე და ტაკინარდი რომ გაგვაძევა.

რობერტო კარლოსი: „მეორე სეზონია, ჩემპიონთა ლიგას ნაადრევად ვემშვიდობებით, მაგრამ ამისგან ტრაგედია არ უნდა შევქმნათ. „რეალი“ დიდი გუნდია და მწარე მარცხის გადატანაც შეუძლია“.

ივან ელგერა: „მხოლოდ „იუვენტუსს“ შეეძლო ჩვენი დამარცხება და მოახერხა კიდეც. ზუსტად ვერ გეტყვით, რის ხარჯზე შეძლეს ტურინელებმა „რეალის“ ძლევა, თუმცა ფაქტია, მეოთხედფინალში ისინი ითამაშებენ. ახლა ყურების ჩამოყრა დანაშაულის ტოლფასია, ჩვენ პრიმერას მოსაგებად ვიბრძოლებთ“.

**ლუკა თალაკვაძე**

# ვინ შეჭამა მსაჯი?



ალექს ფერგიუსონი




ჟოზე მაურინიუ

**ინგლისის** ფეხბურთის ასოციაციამ 5 ათასი გირვანქით დააჯარიმა ჟოზე მაურინიუ. მიზეზი ცილისწამებაა.

მაურინიუს ჯიბე იმის გამო გაუხვრიტეს, რაც „მანჩესტერთან“ „სტემფორდ ბრიჯზე“ სათასო თამაშის გამო თქვა: ალექს ფერგიუსონმა მსაჯი დააშინაო. ეს იყო 12 იანვარს ლიგის თასის უგოლო ნახევარფინალის შემდეგ. მაშინ „ჩელსის“ მენეჯერმა განაცხადა, შესვენებისას ფერგიმ მსაჯი ნილ ბერი შეჭამა და მეორე ტაიმში ის სულ ჩვენს საწინააღმდეგოდ უსტვენდაო.

ეს ცილისწამებად ჩაითვალა.

საინტერესოა, რას გადაწყვეტს უეფა იმ გამონათქვამთა თაობაზე, ჩემპიონთა ლიგის პირველი მეოთხედფინალური მატჩის შემდეგ „ბარსელონას“ მწვრთნელ ფრენკ რაიკარდის მისამართით რომ გაისროლა მაურინიუ.

**ირაკლი გამყრელიძე**

## ფეხბურთის რუკასთან



**ესპანეთის** ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ანხელ მარია ვილასი ლუის არაგონესის კრიტიკოსებს გაუწყრა. შეგახსენებთ, რომ არაგონესი ტიერი ანრის რასისტულად შეურაცხყოფისთვის 3 ათასი ევროთი დააჯარიმეს. „სინამდვილეში რასისტი ისაა, ვინც მუდმივად ლაქლაქებს და სხვებს რასიზმში ადანაშაულებს. ყველამ კარგად იცის, რომ არაგონესი არ არის დამნაშავე. მან უმალვე მოიხადა ბოდიში და საქმე ამით უნდა ამოწურულიყო. ჩვენი ნაკრების მწვრთნელს თავი უნდა დაანებონ“ — განაცხადა მარია ვილარმა. ხოლო ტიერი ანრიმ 3 ათას ევროიანი ჯარიმა დაცინვად მიიჩნია და ფიფას უფრო მკაცრი ზომების მიღება სთხოვა.

**გერმანული** რეგიონალლიგის გუნდ „ქემნიცის“ ფეხბურთელი შტეფან კარლი გუშინ დააპატიმრეს. იგი მატჩის „გაყიდვაშია“ ეჭვმიტანილი.

**იტალიური** „მილანი“ ცდილობს, რომ ერნან კრესპოს მომავალ სეზონშიც „შავ-წითელი“ მაისური ეცვას. არგენტინელი ფორვარდი ბრწყინვალე ფორმაშია და მილანელებს მისი შენარჩუნება სწადიათ. „ჩვენ რომან აბრამოვიჩთან კარგი ურთიერთობა გვაქვს და გვსურს, კრესპო დაგვიტოვოს, თუმც ეს ფორვარდი კონტრაქტით „ჩელსის“ ეკუთვნის.

**ინგლისური** „არსენალის“ ფორვარდმა ტიერი ანრიმ თქვა, ჩემი კლუბის ბოსებზე აუგი არ დამცდენია, გაზეთებმა გადაასხვაფერესო. ფრანგ მეგოლეს „ბაიერნთან“ მარცხის მიზეზი ჰკითხეს. მან უპასუხა, ჩვენ ნაკლები ფული დავხარჯეთ, ვიდრე „ტოტენჰემმა“ და „ბირმინგემმაო“, მისი ნათქვამი კი ისე გადააკეთეს, თითქოს ანრი კლუბის ბოსებს სიძუნწეში ადანაშაულებდეს.

| XXVIII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ლეჩე | : | ფიორენტინა |
| ლაციო | : | ინტერი |
| **ხვალ** | | |
| კიევო | : | იუვენტუსი |
| ბრეშა | : | ლივორნო |
| რეჯინა | : | მესინა |
| ატალანტა | : | პარმა |
| კალიარი | : | რომა |
| მილანი | : | სამპდორია |
| ბოლონია | : | სიენა |
| პალერმო | : | უდინეზე |

| საღლეისო ვითარება | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 27 | 18 | 6 | 3 | 46:17 | 60 |
| იუვენტუსი | 27 | 18 | 6 | 3 | 45:16 | 60 |
| სამპდორია | 27 | 14 | 5 | 8 | 31:20 | 47 |
| ინტერი | 27 | 10 | 16 | 1 | 49:32 | 46 |
| პალერმო | 27 | 11 | 10 | 6 | 30:21 | 43 |
| უდინეზე | 27 | 12 | 6 | 9 | 36:27 | 42 |
| რომა | 27 | 10 | 8 | 9 | 46:40 | 38 |
| ბოლონია | 27 | 9 | 9 | 9 | 27:25 | 36 |
| ლეჩე | 27 | 9 | 8 | 10 | 46:47 | 35 |
| რეჯინა | 27 | 9 | 8 | 10 | 28:31 | 35 |
| კალიარი | 27 | 9 | 7 | 11 | 38:45 | 34 |
| ლაციო | 27 | 9 | 6 | 12 | 34:37 | 33 |
| ლივორნო | 27 | 8 | 8 | 11 | 28:35 | 32 |
| მესინა | 27 | 8 | 8 | 11 | 30:40 | 32 |
| ფიორენტინა | 27 | 7 | 9 | 11 | 27:35 | 30 |
| პარმა | 27 | 7 | 8 | 12 | 30:44 | 29 |
| კიევო | 27 | 7 | 7 | 13 | 21:38 | 28 |
| ბრეშა | 27 | 7 | 5 | 15 | 21:34 | 26 |
| სიენა | 27 | 4 | 13 | 10 | 26:41 | 25 |
| ატალანტა | 27 | 3 | 9 | 15 | 23:37 | 18 |

# იტალია

კახაბერ კედია

## მაღალი რისკის შაბათ-კვირა



რობერტო მანჩინი „სტადიო ოლიმპიკოზე" ბრუნდება

**ხვალ** საქართველოს დროით საღამოს ხუთ საათზე, „სან სიროზე" „მილანი" მესამე ადგილზე კომფორტულად მიმავალ და ჩინებულ ფორმაში მყოფ „სამპდორიას" უმასპინძლებს. ეს შეხვედრა 28-ე ტურის მთავარი მოვლენა იქნება. ლახეთ სტატისტიკას: „შავ-წითლებმა" ჩემპიონატის ბოლო ექვს შეხვედრაში გაიმარჯვეს, ხოლო „დორიამ" ამ ექვსი თამაშიდან ხუთი მოიგო ერთში კი დამარცხდა — „ლივორნოსთან".

წინა ტურში მილანელებმა „ატალანტას" 2:1 მოუგეს და „იუვენტუსთან" ერთად სერია A-ს თანალიდერობა შეინარჩუნეს. იტალიურ პრესაში „შავ-წითლების" ამ გამარჯვებას იღბლიანი დაარქვეს, რადგან გადამწყვეტი გოლი ანდრეა პირლომ არც მეტი, არც ნაკლები, მსაჯის მეოთხე წამატებულ წუთზე გაიტანა. შეგახსენებთ, რომ „მილანმა" ასევე ბოლოწამს გატანილი გოლებით დაამარცხა „ლაციო" და „კალიარი", ასე რომ იღბლიანობა, შეიძლება ითქვას ჩვევად ექცა.

ხოლო „სამპდორიას" „სან სიროსთან" დაკავშირებით ბოლო მოგონება ძალიან ცუდი აქვს — „ინტერს" 0:2-ს უგებდა, მაგრამ ბოლო ხუთ წუთში სამი გოლი გაუშვა და მწარე მარცხი იწვნია. ხვალ გენუელებს ვერ დაეხმარებიან სტეფანო საკეტი, კრისტიანო დონი და მარჩელო ჩელესტინი, ვიტალი კუტუზოვი კი შეეცდება თავის იურიდიულ მფლობელს, „მილანს" გოლი გაუტანოს, რათა დაუმტკიცოს, რომ სხვა გუნდში გასაშვები არ არის.

„მილანი" ისევ ყოფილი საბჭოელების, უკრაინელი ანდრეი შევჩენკოს და ქართველი კახა კალაძის გარეშე ითამაშებს. მათი არყოფნის მიზეზი ტრავმაა, ხოლო კაფუ დისკვალიფიკაციის გამო გამოაკლდება ჩემპიონებს.

„ლაციო" „ინტერს" დღეს საღამოს, ჩვენებურად თორმეტის ნახევარზე მასპინძლობს. სხვა სიტყვებით, „ლაციოს" მარშანდელი მწვრთნელი, რობერტო მანჩინი „სტადიო ოლიმპიკოზე" „ინტერის" თავკაცს რანგში ბრუნდება ანუ რომის ოლიმპიურ სტადიონს ბოლო ორ ტურში „მოღალატის" დაბრუნება არც ცდება — წინა შაბათს იყო და „იუვენტუსს" „რომას" წინააღმდეგ ფაბიო კაპელო ჩამოჰყვა, ახლა კი უკვე მოგახსენეთ, რაც ხდება. მოკლედ, იტალიის დედაქალაქს ისევე როგორც ერთი კვირის წინ, კვლავ მაღალი რისკის შეხვედრა ელის, მითუფრო, რომ მანჩინის გარდა „შავ-ლურჯთა" ბანაკში მილანში მწვრთნელს გაყოლილ „მოღალატე" ფეხბურთელებსაც ვნახავთ.

„რომა" კალიარიში ხვალ გააგორებს ბურთს და, ბუნებრივია, წინა ტურში „იუვენტუსისგან" ნაწვნევი მარცხის გამოსწორება ენდომება. დისკვალიფიცირებულია ამანტინო მანსინი. არ არის გამორიცხული ჯალოროსის სათადარიგოთა სკამზე მხოლოდ ახალგაზრდული გუნდის მოთამაშეები დაუგროვდეს. „რომასა" — „კალიარის" ბოლო დაპირისპირება „სტადიო ოლიმპიკოზე" მასპინძლების 5:1 გამარჯვებით დასრულდა, თუმცა იტალიური პრესა ხვალ განსხვავებული შინაარსის თამაშს ელის.

„იუვენტუსი" კი ვერონაში „კიევოს" ხვდება. მიმომხილველები ყურადღებას იმაზე ამახვილებენ, რომ ორივე გუნდმა წინა ტურში სადავო შეხვედრა ჩაატარა. „ბებერი ქალბატონის" რომაული ისტორია იმდენჯერ დავწერეთ, რომ გამეორებად არ ღირს, „კიევოს" ამბავი კი შესაძლოა შესახსენებელი იყოს — „სამპდორიამ" მფრინავი ვირების დასამარცხებლად გვარიანი ოფლი ღვარა. კერძოდ, ვერონელ ლორენცო დანას გატანილი პენალტი არ ჩაუთვალეს, დარტყმა გაამეორებინეს და მეორე ჯერზე მეკარემ აუღო, ხოლო შეხვედრის დასრულებამდე 10 წუთით ადრე მსაჯმა დონდარინიმ ჯონ მენსა გააძევა მოედნიდან.

# გერმანია

ვაჟა ხუციშვილი

## არ დაგავიწყდეს, რა გაცვია!

## რუმენიგემ ბაიერნს მაისურა შეახსენა



ეს გერმანიის ორი საუკეთესო გუნდის შეხვედრაა, ამბობს აილტონი

**„არსენალის"** ძლევით ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალში გასული მიუნხენის „ბაიერნს" ხვალ კიდევ ერთი გამოცდა ელის. ბუნდესლიგის დასრულებამდე ათი ტურით ადრე გელზენკირხენში „შალკე" „ბაიერნს" მასპინძლობს. ბუნდესლიგისთვის ფაქტობრივად ეს გუნდებიღა იბრძვიან, რაკი „ვერდერი" ლიდერებს შვიდი ქულით ჩამორჩა მას შემდეგ, რაც გასულ ტურში მიუნხენში დამარცხდა. ამიტომაც „შალკე" — „ბაიერნი" საჩემპიონო ჯახად შეგვიძლია მივიჩნიოთ. გამარჯვებული ცხრილში ერთპიროვნულად დაწინაურდება და ფსიქოლოგიურ უპირატესობასაც მოიპოვებს. წაგებულს დევნა, ალბათ გაუჭირდება, ფრის შემთხვევაში კი ინტრიგა გაიზრდება და ბუნდესლიგის ბოლო უფრო საინტერესო გახდება. აღსანიშნავია, რომ „ბაიერნმა" და „შალკემ" პირველი წრე თანაბარი (34) ქულებით დაასრულეს და მეორე წრის დაწყებიდან შვიდ ტურშიც ერთნაირად, 16-16 ქულა მოაგროვეს. აქვე ოთხი წლის წინანდელი ამბავიც გავიხსენოთ. ბოლო ტურში „შალკეს" ჩემპიონობა განაღდებული რომ ეგონა, „ბაიერნის" შვედმა პატრიკ ანდერსონმა „ჰამბურგთან" მატჩის ბოლო წუთზე გაიტანა გოლი, რომელმაც „შალკეს" სასაღამო წაართვა და „ბაიერნს" გადაულოცა.

„ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალში გავედით, მაგრამ ეიფორიაში არ ვართ — თქვა „ბაიერნის" თავმჯდომარემ კარლ ჰაინც რუმენიგემ — ცხადია, რომ „შალკე" ომს გაგვიმართავს. ჩვენმა ფეხბურთელებმა უნდა აჩვენონ, თუ რას ნიშნავს მათთვის „ბაიერნის" მაისურა, ზეიმი კი მოგვიანებით იქნება".

ეს გერმანიის ორი საუკეთესო გუნდის შეხვედრაა — აცხადებს აილტონი — არა მგონია, „ბაიერნი" „არსენალთან" თამაშის შემდეგ დაღლილი იყოს. ძალიან მძიმე მატჩი გველის".

ლიონში შერცხვენილი ბრემენის „ვერდერი" „მაინცს" ებღლვნება, რათა საკუთარი გულშემატკივრების წინაშე 2:7 როგორმე ჩამოირეცხოს.

„ლივერპულთან" დამარცხებული „ლევერკუზენი" კოხტად მოთამაშე ბერლინის „ჰერტას" უმასპინძლებს. კლაუს აუგენტალერისთვის სასიხარულო ამბავი: ნახევარმცველები — პაულ ფრაიერი და რობსონ პონტე გამოჯანმრთელდნენ და სავარაუდოდ ძირითად შემადგენლობაში იქნებიან. „ჰერტას" კვლავ არ ეყოლება ილდირაი ბაშთურქი, რადგან ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია აქვს მოსახდელი.

დიკ ადვოკაატის „ბორუსია" ბოლო ტურებში კარგად თამაშობს და ბუნდესლიგაში დასარჩენ ქულებს აგროვებს. მიონხენგლადბახელები „კაიზერსლაუტერნს" ეწვევიან, რომელსაც ყვითელბარათმოჭარბებული ფერიდონ ზანდი დააკლდება.

დორტმუნდის „ბორუსიამ" ნელ-ნელა თამაში გამოასწორა და ცხრილის შუაში ამოძვრა. „შავ-ყვითლები" ხვალ „შტუტგარტს" დაუხვდებიან, მათიას ზამერის გუნდს ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე მოსახვედრად მესამე ადგილი სჭირდება და სწორედ საამისოდ იბრძვის, თუმც დორტმუნდში მოგება იოლი არაა.

შემოდგომაზე მოულოდნელად გალიდერებული „ვოლფსბურგი" ქვევით დაეშვა და საქმე ისე გაუხდა, რომ უეფას თასის საგზურიც ენატრება. „მგლებს" ახლა შანსი აქვთ, ტრავმებით გატანჯულ „ჰანოვერს" მოუგონ, რომელსაც ერთი კვირის წინ თვით მაჩანჩალა „ჰანზამაც" კი სძლია.

„ჰანზა" „ბოხუმს" მასპინძლობს და როსტოკელთა ქომაგები, ცხადია, გუნდის პირველ საშინაო გამარჯვებას ელიან. ასე ელოდნენ ისინი პირველ წრეშიც, მაგრამ ამაოდ. ეგებ დღეს მაინც შეძლონ ჰანზელებმა შინ სამი ქულის აღება. მით უმეტეს, ბოხუმელებს შემტევი პეტერ მადჩენი არ ეყოლებათ, რადგან დასჯილია.

გასაცოდავებული „ფრაიბურგი" ღია კარის დღეს, ალბათ აღარ მოაწყობს, როგორც „ბაიერნთან" (0:7) და „მაინცთან" (0:5), მაგრამ ფინკეს გუნდს ბუნდესლიგის მთავარმეგოლის, ნიურნბერგელი მარეკ მინტალას წინააღმდეგ თამაში მოუწევს. „ფრაიბურგის" მცველი ოთარ ხიზანეიშვილი ტრავმირებულია და მისი გამოჩენა საეჭვოა, ხოლო „ნიურნბერგს" დისკვალიფიცირებული მარიო კანტალუპი ვერ დაეხმარება.

| XXV ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ვერდერი | : | მაინცი |
| ჰანზა | : | ბოხუმი |
| ვოლფსბურგი | : | ჰანოვერი |
| ლაუტერნი | : | გლადბახი |
| ლევერკუზენი | : | ჰერტა |
| არმინია | : | ჰამბურგი |
| ფრაიბურგი | : | ნიურნბერგი |
| **ხვალ** | | |
| დორტმუნდი | : | შტუტგარტი |
| შალკე | : | ბაიერნი |

| საღლეისო ვითარება | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 24 | 15 | 5 | 4 | 46:23 | 50 |
| შალკე | 24 | 16 | 2 | 6 | 39:27 | 50 |
| ვერდერი | 24 | 13 | 4 | 7 | 53:27 | 43 |
| შტუტგარტი | 24 | 12 | 6 | 6 | 43:30 | 42 |
| ჰერტა | 24 | 10 | 10 | 4 | 40:21 | 40 |
| ჰამბურგი | 24 | 13 | 1 | 10 | 41:36 | 40 |
| ლევერკუზენი | 24 | 11 | 6 | 7 | 42:31 | 39 |
| ვოლფსბურგი | 24 | 11 | 1 | 12 | 39:36 | 34 |
| ლაუტერნი | 24 | 9 | 6 | 9 | 32:32 | 33 |
| ჰანოვერი | 24 | 9 | 5 | 10 | 27:28 | 32 |
| დორტმუნდი | 24 | 8 | 8 | 8 | 29:32 | 32 |
| არმინია | 24 | 9 | 5 | 10 | 27:30 | 32 |
| გლადბახი | 24 | 7 | 7 | 10 | 27:38 | 28 |
| მაინცი | 24 | 7 | 5 | 12 | 32:40 | 26 |
| ნიურნბერგი | 24 | 6 | 7 | 11 | 40:45 | 25 |
| ბოხუმი | 24 | 4 | 7 | 13 | 29:50 | 19 |
| ჰანზა | 24 | 3 | 8 | 13 | 19:47 | 17 |
| ფრაიბურგი | 24 | 3 | 7 | 14 | 18:50 | 16 |



ფრანკ რაიკარდი

# ესპანეთი

ლიგა ნომერიაი

# მიზანი ერთია

**ჩემპიონთა ლიგაში** განცდილი მარცხის შემდეგ „ბარსელონასა“ და „რეალს“ ერთი მიზანიღა დარჩათ — პრიმერადივიზიონის ჩემპიონობა. შაბათს, პირინეელთა ლიგის 28-ე ტურში, ფრანკ რაიკარდის გუნდი „კამპ ნოუზე“ ერნესტო ვალვერდეს „ბილბაოს“ უმასპინძლებს. „ისევ „ჩელსიზე“ ფიქრი კარგს არაფერს მოგვიტანს. ახლა საჭიროა, ბასკებთან მოგებაზე ვიფიქროთ“ — განაცხადა ჰოლანდიელმა, რომლის გუნდს „ბილბაოსთან“ სავარაუდოდ მექსიკელი მცველი რაფაელ მარკესი გამოაკლდება. იგი წინა ტურში „ოსასუნასთან“ დაშავდა, თუმცა „ბარსელონას“ სამედიცინო შტაბის ცნობით, მექსიკელს დროულად გამოჯანმრთელების შანსი მაინც აქვს. დღეს დეკოს ბურთაობაც საეჭვოა, ნახევარმცველი გრიპითაა ავად. სამაგიეროდ, ძირითად შემადგენლობას დაუბრუნდება ფრანგი ლუდოვიკ ჟიული. ყოფილი მონაკოელი, სამშაბათს, ლონდონშიც გავიდა მოედანზე.

ერნესტო ვალვერდეს კი მრისხანე მასპინძელთან შეხვედრაში ტრავმირებულები, მაურილიო, ხავი კასასი და ფრან იესტე არ ეყოლება. „ბილბაო“ ამჟამად პრიმერადივიზიონის მეათეადგილოსანია და თუ ზედა პოზიციებზე ანაცვლება სურს, დღეს „ბარსასთან“ ფიცხელი ბრძოლა მოუწევს. წინა ტურში ბასკებმა ესკეროს, ლა კრუზისა და გერეროს გოლებით „ალბასეტეს“ მოუგეს 3:1. ამ გუნდების პირველი წრის ჯახი კი ფრედ დასრულდა. მაშინ გოლები იესტემ და სამუელ ეტოომ გაიტანეს.

შაბათსვე, ანდალუსიური „მალაგა“ სერა ფერერის „ბეტისს“ მასპინძლობს. ანტონიო ტაპის შეგირდები 27-ე ტურში „დეპორტივოსთან“ დამარცხდნენ და პრიმერას ცხრილში მე-12 ადგილზე იმყოფებიან. სევილიურ „ბეტისს“ კი გასულ კვირას „ხეტაფესთან“ მიღწეული ფრის მერე ევროპაზე გამსვლელ პოზიციებთან ერთი ქულაღა აშორებს. სტუმრებს დაშავებულები — ალფონსო და კაპი არ ეყოლებათ. ისინი არა თუ „მალაგასთან“ თამაშს, მთელს დარჩენილ სეზონს გამოტოვებენ.

„რეალს“ „ხეტაფესთან“ თამაში დევიდ ბექჰემის გარეშე მოუწევს — გალაქტიკოსთა ინგლისელი ნახევარმცველი თამაშს დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვებს. ამბობენ, რომ „იუვესთან“ წაგების მერე „რეალში“ ერთობ არეული სიტუაციაა — სათეთრების პრეზიდენტი ფლორენტინო პერესი თურმე იტალიელებთან დამარცხებამ განარისხა და „ბერნაბეუზე“ მნიშვნელოვან ცვლილებებს აპირებს. როგორც ესპანურ „მარკაში“ ვკითხულობთ, „რეალი“ უახლოეს მომავალში სავარაუდოდ მწვრთნელ ლუშემბურგოს (მას ფაბიო კაპელოთი შეცვლიან!!!), ლუიშ ფიგუს და რაულს დაემშვიდობება. ამის შემდეგ კი ბრაზილიელ რობინიოს და ალბათ „არსენალელ“ ხოსე ანტონიო რეიეს იყიდიან. თუ გნებავთ დაიჯერეთ.

„ატლეტიკო“ ხვალ ანტონიო ლოპესის „ვალენსიას“ მიიღებს. გასულ ტურში „სევილიასთან“ შესანიშნავი გამარჯვების შემდეგ მადრიდელები მერვე ადგილზე არიან და ევროზონიდან ოთხი ქულა აშორებთ. სესარ ფერნანდოს შეგირდი სალვა სანქცირებულია და მას „ვისენტე კალდერონზე“ ვერ ვიხილავთ. „ვალენსიას“ ტრავმირებული ფაბიო აურელიო არ ეყოლება, ხოლო კანეირას საკითხი ჯერ ვერ გადაუწყვეტიათ.

| XXVIII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ბარსელონა | : | ბილბაო |
| მალაგა | : | ბეტისი |
| **ხვალ** | | |
| ალბასეტე | : | დეპორტივო |
| ვილიარეალი | : | ესპანიოლი |
| ხეტაფე | : | რეალი |
| ატლეტიკო | : | ვალენსია |
| სევილია | : | სარაგოსა |
| რასინგი | : | მალიორკა |
| ლევანტე | : | ოსასუნა |
| სოსიედადი | : | ნუმანსია |

| სადღეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 27 | 19 | 5 | 3 | 51:18 | 62 |
| რეალი | 27 | 17 | 3 | 7 | 47:23 | 54 |
| ესპანიოლი | 27 | 13 | 6 | 8 | 34:29 | 45 |
| ვილიარეალი | 27 | 12 | 8 | 7 | 44:25 | 44 |
| ვალენსია | 27 | 11 | 10 | 6 | 41:28 | 43 |
| სევილია | 27 | 12 | 7 | 8 | 32:32 | 43 |
| ბეტისი | 27 | 11 | 9 | 7 | 43:35 | 42 |
| ატლეტიკო | 27 | 11 | 6 | 10 | 31:25 | 39 |
| დეპორტივო | 27 | 9 | 12 | 6 | 37:35 | 39 |
| ბილბაო | 26 | 10 | 8 | 8 | 42:34 | 38 |
| სარაგოსა | 27 | 10 | 5 | 12 | 32:40 | 35 |
| მალაგა | 27 | 10 | 4 | 13 | 26:34 | 34 |
| სოსიედადი | 27 | 9 | 5 | 13 | 34:39 | 32 |
| ოსასუნა | 27 | 8 | 7 | 12 | 36:47 | 31 |
| ლევანტე | 27 | 8 | 7 | 12 | 29:40 | 31 |
| ხეტაფე | 26 | 7 | 8 | 11 | 25:30 | 29 |
| რასინგი | 27 | 7 | 7 | 13 | 26:40 | 28 |
| ალბასეტე | 27 | 5 | 9 | 13 | 25:40 | 24 |
| მალიორკა | 27 | 6 | 6 | 15 | 28:45 | 24 |
| ნუმანსია | 27 | 4 | 8 | 15 | 18:42 | 20 |

# მანჩინი როსტოვშია

## ვინ არის დუდუ?

*დღეს რუსეთის მე-14 ჩემპიონატი იწყება, რომელიც ფინანსური თვალსაზრისით რეკორდულია. პრემიერლიგის კლუბების ბიუჯეტის საერთო ოდენობა 350 მილიონ დოლარს აჭარბებს. რუსეთის გუნდებში ცნობილი ევროპელი ფეხბურთელები გადავიდნენ — ჩემპიონთა და უეფას თასის მფლობელები და მსოფლიოს ჩემპიონები ახალგაზრდებს შორის. 16-დან დაახლოებით 8 კლუბი მედლებისათვის ბრძოლას აპირებს, გაზეთი „იზვესტია“ კი პროგნოზებს გვთავაზობს.*



ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი დერლეი სილვა მოსკოვის დინამოელია

### ლოკომოტივი

მიზანი — ჩემპიონობა
ბიუჯეტი: 50 000 000 $

„ლოკომოტივმა“ სხვა გუნდებში გაუშვა ის ფეხბურთელები, რომლებიც ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდებოდნენ — ნიგმატულინი, ნიჟეგოროდოვი, ჩესნაუსკისი, პიმენოვი, ობიორა. მათ ნაცვლად „კრილიადან“ მეკარე პოლიაკოვი და მცველი ომელიანჩუკი გადაიყვანა, „ტორპედოდან“ კი ბუგაევი და ლებედენკო.

პროგნოზი — II ადგილი

### ცსკა

მიზანი — ჩემპიონობა
| 11189 | ბარსელონა-ბილბაო | 1.75 | 12.0 | 25.0 | 3.5 | 5.0 | 10.0 | 20.0 | 10.0 | 10.0 |
| 11191 | მალაგა-ბეტისი | 3.2 | 10.0 | 20.0 | 4.2 | 4.4 | 5.6 | 20.0 | 10.0 | 5.0 |
| 11192 | ალბასეტე-დეპორტივო | 4.8 | 10.0 | 20.0 | 5.6 | 4.4 | 4.2 | 20.0 | 10.0 | 3.3 |
| 11193 | ვილიარეალი-ესპანიოლი | 2.7 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.0 | 20.0 | 10.0 | 6.0 |
| 11194 | ატლეტიკო-ვალენსია | 3.5 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.3 | 20.0 | 10.0 | 4.4 |
| 11195 | რასინგი-მალიორკა | 2.8 | 10.0 | 20.0 | 3.8 | 4.4 | 6.5 | 20.0 | 10.0 | 5.6 |
| 11196 | ლევანტე-ოსასუნა | 3.0 | 10.0 | 20.0 | 4.0 | 4.4 | 6.0 | 20.0 | 10.0 | 5.3 |
| 11197 | სოსიედადი-ნუმანსია | 2.3 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 9.0 | 20.0 | 10.0 | 8.0 |
| 11198 | სევილია-სარაგოსა | 2.5 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 7.0 |
| 11199 | ხეტაფე-რეალი | 7.0 | 10.0 | 20.0 | 7.5 | 4.4 | 3.5 | 20.0 | 10.0 | 2.3 |

# I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10078 | ლევერკუზენი-პერტა | 2.4 | 2.0 | 4.0 | 1.09 | 1.5 | 1.33 |
| 10079 | არმინია-ჰამბურგი | 3.15 | 2.0 | 2.9 | 1.22 | 1.5 | 1.18 |
| 10080 | ვოლფსბურგი-ჰანოვერი | 2.1 | 2.0 | 5.2 | 1.02 | 1.49 | 1.44 |
| 10081 | ჰანზა-ბოხუმი | 2.6 | 2.0 | 3.7 | 1.13 | 1.52 | 1.29 |
| 10082 | ვერდერი-მაინცი | 1.5 | 2.6 | 6.5 | 1.0 | 1.21 | 1.85 |
| 10084 | ლაუტერნი-გლადბახი | 2.4 | 2.0 | 4.0 | 1.09 | 1.5 | 1.33 |
| 10085 | ფრაიბურგი-ნიურნბერგი | 2.8 | 2.0 | 3.4 | 1.16 | 1.53 | 1.25 |
| 10086 | დორტმუნდი-შტუტგარტი | 2.7 | 2.0 | 3.6 | 1.14 | 1.54 | 1.28 |
| 10087 | შალკე-ბაიერნი | 2.9 | 2.0 | 3.1 | 1.18 | 1.49 | 1.21 |
| 10149 | ლეჩე-ფიორენტინა | 2.5 | 2.0 | 3.8 | 1.11 | 1.5 | 1.31 |
| 10150 | ლაციო-ინტერი | 3.8 | 2.0 | 2.5 | 1.31 | 1.5 | 1.11 |
| 10151 | კალიარი-რომა | 3.2 | 2.0 | 2.8 | 1.23 | 1.49 | 1.16 |
| 10152 | მილანი-სამპდორია | 1.8 | 2.2 | 5.3 | 1.0 | 1.34 | 1.55 |
| 10153 | ატალანტა-პარმა | 2.9 | 2.0 | 3.1 | 1.18 | 1.49 | 1.21 |
| 10154 | პალერმო-უდინეზე | 2.6 | 2.0 | 3.6 | 1.13 | 1.5 | 1.28 |

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10155 | ბოლონია-სიენა | 2.1 | 2.0 | 4.5 | 1.02 | 1.43 | 1.38 |
| 10156 | რეჯინა-მესინა | 2.4 | 2.0 | 4.0 | 1.09 | 1.5 | 1.33 |
| 10157 | ბრეშა-ლივორნო | 2.5 | 2.0 | 3.7 | 1.11 | 1.49 | 1.29 |
| 10158 | კიევო-იუვენტუსი | 5.3 | 2.2 | 1.8 | 1.55 | 1.34 | 1.0 |
| 10189 | ბარსელონა-ბილბაო | 1.65 | 2.3 | 6.5 | 1.0 | 1.31 | 1.69 |
| 10191 | მალაგა-ბეტისი | 2.75 | 2.0 | 3.4 | 1.15 | 1.52 | 1.25 |
| 10192 | ალბასეტე-დეპორტივო | 3.5 | 2.0 | 2.65 | 1.27 | 1.5 | 1.13 |
| 10193 | ვილიარეალი-ესპანიოლი | 2.3 | 2.0 | 4.1 | 1.06 | 1.47 | 1.34 |
| 10194 | ატლეტიკო-ვალენსია | 2.8 | 2.0 | 3.1 | 1.16 | 1.47 | 1.21 |
| 10195 | რასინგი-მალიორკა | 2.4 | 2.0 | 4.0 | 1.09 | 1.5 | 1.33 |
| 10196 | ლევანტე-ოსასუნა | 2.5 | 2.0 | 3.8 | 1.11 | 1.5 | 1.31 |
| 10197 | სოსიედადი-ნუმანსია | 2.1 | 2.0 | 5.0 | 1.02 | 1.47 | 1.42 |
| 10198 | სევილია-სარაგოსა | 2.15 | 2.1 | 4.7 | 1.06 | 1.47 | 1.45 |
| 10199 | ხეტაფე-რეალი | 4.1 | 2.1 | 2.1 | 1.38 | 1.38 | 1.04 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13078 | ლევერკუზენი-პერტა | 1.6 | 2.1 |
| 13079 | არმინია-ჰამბურგი | 1.7 | 1.9 |
| 13081 | ჰანზა-ბოხუმი | 1.6 | 2.1 |
| 13082 | ვერდერი-მაინცი | 1.6 | 2.1 |
| 13085 | ფრაიბურგი-ნიურნბერგი | 1.7 | 1.9 |
| 13086 | დორტმუნდი-შტუტგარტი | 1.6 | 2.0 |
| 13087 | შალკე-ბაიერნი | 1.6 | 2.0 |
| 13149 | ლეჩე-ფიორენტინა | 1.6 | 2.1 |
| 13150 | ლაციო-ინტერი | 1.6 | 2.1 |
| 13151 | კალიარი-რომა | 1.6 | 2.1 |
| 13152 | მილანი-სამპდორია | 1.7 | 1.9 |
| 13153 | ატალანტა-პარმა | 1.7 | 1.9 |
| 13154 | პალერმო-უდინეზე | 1.7 | 1.9 |
| 13155 | ბოლონია-სიენა | 1.7 | 1.9 |
| 13156 | რეჯინა-მესინა | 1.7 | 1.9 |
| 13157 | ბრეშა-ლივორნო | 1.9 | 1.7 |
| 13158 | კიევო-იუვენტუსი | 1.9 | 1.7 |
| 13189 | ბარსელონა-ბილბაო | 1.7 | 1.9 |
| 13191 | მალაგა-ბეტისი | 1.7 | 1.9 |
| 13192 | ალბასეტე-დეპორტივო | 1.7 | 1.9 |
| 13193 | ვილიარეალი-ესპანიოლი | 1.7 | 1.9 |
| 13194 | ატლეტიკო-ვალენსია | 1.7 | 1.9 |
| 13195 | რასინგი-მალიორკა | 1.7 | 1.9 |
| 13196 | ლევანტე-ოსასუნა | 1.7 | 1.9 |
| 13197 | სოსიედადი-ნუმანსია | 1.7 | 1.9 |
| 13198 | სევილია-სარაგოსა | 1.7 | 1.9 |
| 13199 | ხეტაფე-რეალი | 1.7 | 1.9 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14078 | ლევერკუზენი-პერტა | 1.7 | 2.2 |
| 14079 | არმინია-ჰამბურგი | 1.9 | 1.9 |
| 14080 | ვოლფსბურგი-ჰანოვერი | 1.45 | 2.4 |
| 14081 | ჰანზა-ბოხუმი | 1.75 | 2.1 |
| 14082 | ვერდერი-მაინცი | 1.07 | 2.9 |
| 14084 | ლაუტერნი-გლადბახი | 1.7 | 2.2 |
| 14085 | ფრაიბურგი-ნიურნბერგი | 1.85 | 1.95 |
| 14086 | დორტმუნდი-შტუტგარტი | 1.85 | 1.95 |
| 14087 | შალკე-ბაიერნი | 1.9 | 1.9 |
| 14149 | ლეჩე-ფიორენტინა | 1.7 | 2.2 |
| 14150 | ლაციო-ინტერი | 2.0 | 1.7 |
| 14151 | კალიარი-რომა | 1.9 | 1.9 |
| 14152 | მილანი-სამპდორია | 1.3 | 2.5 |
| 14153 | ატალანტა-პარმა | 1.85 | 1.95 |
| 14154 | პალერმო-უდინეზე | 1.8 | 2.0 |
| 14155 | ბოლონია-სიენა | 1.45 | 2.4 |
| 14156 | რეჯინა-მესინა | 1.7 | 2.2 |
| 14157 | ბრეშა-ლივორნო | 1.75 | 2.1 |
| 14158 | კიევო-იუვენტუსი | 2.5 | 1.3 |
| 14189 | ბარსელონა-ბილბაო | 1.2 | 2.6 |
| 14191 | მალაგა-ბეტისი | 1.8 | 2.0 |
| 14192 | ალბასეტე-დეპორტივო | 2.0 | 1.8 |
| 14193 | ვილიარეალი-ესპანიოლი | 1.7 | 2.2 |
| 14194 | ატლეტიკო-ვალენსია | 1.85 | 1.95 |
| 14195 | რასინგი-მალიორკა | 1.7 | 2.2 |
| 14196 | ლევანტე-ოსასუნა | 1.7 | 2.2 |
| 14197 | სოსიედადი-ნუმანსია | 1.45 | 2.4 |
| 14198 | სევილია-სარაგოსა | 1.45 | 2.4 |
| 14199 | ხეტაფე-რეალი | 2.4 | 1.45 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15078 | ლევერკუზენი-პერტა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15079 | არმინია-ჰამბურგი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15080 | ვოლფსბურგი-ჰანოვერი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15081 | ჰანზა-ბოხუმი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15082 | ვერდერი-მაინცი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15084 | ლაუტერნი-გლადბახი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15085 | ფრაიბურგი-ნიურნბერგი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15086 | დორტმუნდი-შტუტგარტი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15087 | შალკე-ბაიერნი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15149 | ლეჩე-ფიორენტინა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15150 | ლაციო-ინტერი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15151 | კალიარი-რომა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15152 | მილანი-სამპდორია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15153 | ატალანტა-პარმა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15154 | პალერმო-უდინეზე | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15155 | ბოლონია-სიენა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15156 | რეჯინა-მესინა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15157 | ბრეშა-ლივორნო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15158 | კიევო-იუვენტუსი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15189 | ბარსელონა-ბილბაო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15191 | მალაგა-ბეტისი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15192 | ალბასეტე-დეპორტივო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15193 | ვილიარეალი-ესპანიოლი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15194 | ატლეტიკო-ვალენსია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15195 | რასინგი-მალიორკა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15196 | ლევანტე-ოსასუნა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15197 | სოსიედადი-ნუმანსია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15198 | სევილია-სარაგოსა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15199 | ხეტაფე-რეალი | 3.0 | 2.8 | 2.0 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 12078 | ლევერკუზენი-პერტა | 2.0 | 1.6 |
| 12079 | არმინია-ჰამბურგი | 1.9 | 1.7 |
| 12080 | ვოლფსბურგი-ჰანოვერი | 1.9 | 1.7 |
| 12081 | ჰანზა-ბოხუმი | 1.9 | 1.7 |
| 12082 | ვერდერი-მაინცი | 2.2 | 1.5 |
| 12084 | ლაუტერნი-გლადბახი | 1.9 | 1.7 |
| 12085 | ფრაიბურგი-ნიურნბერგი | 1.9 | 1.7 |
| 12086 | დორტმუნდი-შტუტგარტი | 1.9 | 1.7 |
| 12087 | შალკე-ბაიერნი | 1.9 | 1.7 |
| 12149 | ლეჩე-ფიორენტინა | 2.0 | 1.6 |
| 12150 | ლაციო-ინტერი | 1.9 | 1.7 |
| 12151 | კალიარი-რომა | 2.0 | 1.6 |
| 12152 | მილანი-სამპდორია | 1.7 | 1.9 |
| 12153 | ატალანტა-პარმა | 1.7 | 1.9 |
| 12154 | პალერმო-უდინეზე | 1.6 | 2.0 |
| 12155 | ბოლონია-სიენა | 1.6 | 2.0 |
| 12156 | რეჯინა-მესინა | 1.6 | 2.0 |
| 12157 | ბრეშა-ლივორნო | 1.6 | 2.0 |
| 12158 | კიევო-იუვენტუსი | 1.6 | 2.0 |
| 12189 | ბარსელონა-ბილბაო | 1.7 | 1.9 |
| 12191 | მალაგა-ბეტისი | 1.7 | 1.9 |
| 12192 | ალბასეტე-დეპორტივო | 1.6 | 2.0 |
| 12193 | ვილიარეალი-ესპანიოლი | 1.6 | 2.0 |
| 12194 | ატლეტიკო-ვალენსია | 1.6 | 2.0 |
| 12195 | რასინგი-მალიორკა | 1.7 | 1.9 |
| 12196 | ლევანტე-ოსასუნა | 1.7 | 1.9 |
| 12197 | სოსიედადი-ნუმანსია | 1.7 | 1.9 |
| 12198 | სევილია-სარაგოსა | 1.7 | 1.9 |
| 12199 | ხეტაფე-რეალი | 1.7 | 1.9 |

## ფრეს გარეშე(ძირ. დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16078 | ლევერკუზენი-პერტა | 1.4 | 2.2 |
| 16079 | არმინია-ჰამბურგი | 1.8 | 1.7 |
| 16080 | ვოლფსბურგი-ჰანოვერი | 1.25 | 3.1 |
| 16081 | ჰანზა-ბოხუმი | 1.5 | 2.2 |
| 16082 | ვერდერი-მაინცი | 1.05 | 5.3 |
| 16084 | კაისერსლაუტერნი-მიონხენგლადბახი | 1.4 | 2.2 |
| 16085 | ფრაიბურგი-ნიურნბერგი | 1.6 | 1.9 |
| 16086 | დორტმუნდი-შტუტგარტი | 1.6 | 2.0 |
| 16087 | შალკე-ბაიერნი | 1.65 | 1.85 |
| 16149 | ლეჩე-ფიორენტინა | 1.4 | 2.2 |
| 16150 | ლაციო-ინტერი | 2.0 | 1.55 |
| 16151 | კალიარი-რომა | 1.7 | 1.8 |
| 16152 | მილანი-სამპდორია | 1.15 | 3.75 |
| 16153 | ატალანტა-პარმა | 1.6 | 1.9 |
| 16154 | პალერმო-უდინეზე | 1.5 | 2.1 |
| 16155 | ბოლონია-სიენა | 1.3 | 2.8 |
| 16156 | რეჯინა-მესინა | 1.4 | 2.2 |
| 16157 | ბრეშა-ლივორნო | 1.4 | 2.2 |
| 16158 | კიევო-იუვენტუსი | 3.0 | 1.25 |
| 16189 | ბარსელონა-ბილბაო | 1.12 | 4.4 |
| 16191 | მალაგა-ბეტისი | 1.5 | 2.0 |
| 16192 | ალბასეტე-დეპორტივო | 2.0 | 1.55 |
| 16193 | ვილიარეალი-ესპანიოლი | 1.35 | 2.5 |
| 16194 | ატლეტიკო-ვალენსია | 1.6 | 1.8 |
| 16195 | რასინგი-მალიორკა | 1.35 | 2.35 |
| 16196 | ლევანტე-ოსასუნა | 1.4 | 2.3 |
| 16197 | სოსიედადი-ნუმანსია | 1.25 | 2.9 |
| 16198 | სევილია-სარაგოსა | 1.25 | 2.9 |
| 16199 | ხეტაფე-რეალი | 2.6 | 1.35 |

## ლუწი რაოდენობის გოლი გავა მატჩში თუ კენტი (0:0 ითვლება ლუწად)

| | | ლუწი | კენტი |
|---|---|---|---|
| 17078 | ლევერკუზენი-პერტა | 1.85 | 1.95 |
| 17079 | არმინია-ჰამბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17080 | ვოლფსბურგი-ჰანოვერი | 1.85 | 1.95 |
| 17081 | ჰანზა-ბოხუმი | 1.85 | 1.95 |
| 17082 | ვერდერი-მაინცი | 1.85 | 1.95 |
| 17084 | კაისერსლაუტერნი-მიონხენგლადბახი | 1.85 | 1.95 |
| 17085 | ფრაიბურგი-ნიურნბერგი | 1.85 | 1.95 |
| 17086 | დორტმუნდი-შტუტგარტი | 1.85 | 1.95 |
| 17087 | შალკე-ბაიერნი | 1.85 | 1.95 |
| 17149 | ლეჩე-ფიორენტინა | 1.85 | 1.95 |
| 17150 | ლაციო-ინტერი | 1.85 | 1.95 |
| 17151 | კალიარი-რომა | 1.85 | 1.95 |
| 17152 | მილანი-სამპდორია | 1.85 | 1.95 |
| 17153 | ატალანტა-პარმა | 1.85 | 1.95 |
| 17154 | პალერმო-უდინეზე | 1.85 | 1.95 |
| 17155 | ბოლონია-სიენა | 1.85 | 1.95 |
| 17156 | რეჯინა-მესინა | 1.85 | 1.95 |
| 17157 | ბრეშა-ლივორნო | 1.85 | 1.95 |
| 17158 | კიევო-იუვენტუსი | 1.85 | 1.95 |
| 17189 | ბარსელონა-ბილბაო | 1.85 | 1.95 |
| 17191 | მალაგა-ბეტისი | 1.85 | 1.95 |
| 17192 | ალბასეტე-დეპორტივო | 1.85 | 1.95 |
| 17193 | ვილიარეალი-ესპანიოლი | 1.85 | 1.95 |
| 17194 | ატლეტიკო-ვალენსია | 1.85 | 1.95 |
| 17195 | რასინგი-მალიორკა | 1.85 | 1.95 |
| 17196 | ლევანტე-ოსასუნა | 1.85 | 1.95 |
| 17197 | სოსიედადი-ნუმანსია | 1.85 | 1.95 |
| 17198 | სევილია-სარაგოსა | 1.85 | 1.95 |
| 17199 | ხეტაფე-რეალი | 1.85 | 1.95 |

# ევროლიგა

მეორე ჯგუფური ეტაპი. III ტური. 9-10 მარტი

# ცსკა ჩვიდმეტიანია

## სტამბოლში ქულები გაძვირდა



დევიდ ანდერსენმა მადრიდელები არ გაახარა

**ესეც** მეჩვიდმეტე — ამოისუნთქეს არმიელებმა და ისინი ევროლიგაში კვლავ დაუმარცხებლები არიან. პირველ ჯგუფურ ეტაპზე მოპოვებულ 14 გამარჯვებას მოსკოველებმა ტოპ-16-ში სამიც წაამატეს, რომელთაგან ბოლოს, ხუთშაბათს მადრიდში მოგებულ დრამატულ მატჩში, ბევრი ინერვიულეს.

ცსკამ, ამ სეზონში რაგინდარა ტურნირში ჯერაც რომ არ დამარცხებულა, გუშინწინ მადრიდში „რეალთან" კინაღამ დაასრულა თავისი ბრწყინვალე სვლა. ბოლო წლების ჩავარდნის შემდეგ მოღონიერებულმა სამეფო კლუბმა მოსკოველებს დიდი ბრძოლა გაუმართა და მხოლოდ ოვერტაიმში, ისიც ერთი ქულით წააგო.

მადრიდელები უკვე პირველ მეოთხედში 10 ქულას იგებდნენ, მაგრამ ცსკა რომ ასე იოლად არ დანებდებოდა, ყველამ კარგად იცოდა. ზღვა ხალხი უმაგრებდა მასპინძლებს გულს. იმ საღამოს „პალაციო ვისტალეგრეს" დარბაზში 12 ათას 800 კაცი მისულიყო რუსების ერთიანი ძალებით დასამარცხებლად. ალბათ მილეთის ფაქტორმაც იმოქმედა, თორემ „რეალი" რომ რეალურად არ იყო ცსკას დამმარცხებელი, ლოგიკა ლაღადებდა.

ასე იყო თუ ისე, „რეალი" თამაშის ბოლო წუთამდე არ ჩამორჩა მრისხანე მეტოქეს და იმდენი მოახერხა, რომ ძირითადი დროის დასრულებამდე 58 წამით ადრე ლუის ბალოკის სამქულიანის შემდეგ 80:79 დაწინაურდა. ცსკა-მ საფრთხე იგრძნო და ისე ათამაშდა, ორქულიანი ლიდერობა დაიბევა და არმიელთა ფორვარდი თეოდოროს პაპალუკასი საჯარიმო ხაზზე დადგა. სირენამდე წამები რჩებოდა და პაპალუკასის ქულები „რეალს" საქმეს მოუთავებდა, მაგრამ ბერძენმა ლეგიონერმა ორივე ტყორცნა ააცილა და მასპინძლებს შანსი მიეცათ.

„რეალმა" ბურთი გაათამაშა და ახლა მისი ბერძენი ლეგიონერი დადგა საჯარიმო ხაზზე — ანდრეს ფოცისმა ორივე ჩააგდო და თამაში ოვერტაიმში გადაიყვანა.

დამატებით დროში ცსკა-ს წონოლა ცენტრმა დევიდ ანდერსენმა გაილაღა, მაგრამ მადრიდელები ბოლომდე არ დანებდნენ მეტოქეს და გამარჯვებული ბოლო წამამდე გაურკვეველი იყო. ის კი არა, „რეალი" დასრულებამდე 33 წამით ადრე დაწინაურდა კიდეც, მაგრამ მოსკოველთა ფეხმარდმა გამთამაშებელმა მარკუს ბრაუნმა მყისიერად დაუბრუნა ლიდერობა ცსკას. „რეალს" გადარჩენის შანსი მაინც შერჩა, მაგრამ ბალოკმა სირენის თანხლებით ნატყორცნი სამქულიანი გააცუდა.

არანაკლებ დრამატული გამოდგა ამავე ჯგუფის მეორე მატჩი. იტალიურმა „სკავოლინიმ" ფიცხელ ბრძოლაში ერთი ქულით აჯობა ერთ დროს უძლეველ „ბარსელონას" და ახლა E ჯგუფიდან მეოთხედფინალში გასვლის შანსი არმიელთა გარდა ყველა გუნდს თანაბარი აქვს. ცსკა ერთპიროვნული ლიდერია, დანარჩენებს კი ჯგუფში მეორე გამსვლელი ადგილისთვის მოუწევთ ბრძოლა.

ჯგუფში წაუგებლად ლიდერობს მოქმედი ჩემპიონი თელ ავივის „მაკაბი". აი, აეკ-ის ერთპიროვნული ლიდერობა კი ყველასთვის მოულოდნელია. ბერძნებმა მძიმედ დაიწყეს ეს სეზონი და კარგა ხანს პირველი ჯგუფური ეტაპის აუტსაიდერებიც იყვნენ, ახლა კი ოთხთა ფინალში გასვლის რეალურ კანდიდატებად ითვლებიან.

ამ ტურში საინტერესო ამბავი მოხდა სტამბოლში, სადაც „ეფესი" — „ბენეტონის" მატჩში სრულიად ევროლიგის მწირქულიანობის რეკორდი დაემხო. მასპინძლებმა 52:43 დაამარცხეს იტალიელები და ამ თამაშში მოპოვებული 95 ქულა 18 (!)-ით ნაკლებია ევროლიგის ყველაზე მწირქულიან მატჩზე.

**ირაკლი პერტაია**

### D ჯგუფი

**სიენა 84:71 ულქერი**

**სიენა:** ტორნტონი (14), რენციასი (13)
**ულქერი:** ერდოგანი (20), ვუტსვიტსი (11)

**ციბონა 74:91 მაკაბი**

**ციბონა:** ვრანკოვიჩი (24), ბადერი (13)
**მაკაბი:** იასიკევიჩუსი (20), ბასტონი (20)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| მაკაბი | 3 | 3 | 0 | +49 | 6 |
| სიენა | 3 | 2 | 1 | +40 | 5 |
| ულქერი | 3 | 1 | 2 | -37 | 4 |
| ციბონა | 3 | 0 | 3 | -52 | 3 |

### E ჯგუფი

**სკავოლინი 71:70 ბარსელონა**

**სკავოლინი:** მილიჩი (19), მოტოლა (15)
**ბარსელონა:** დევისი (17), ილიევსკი (16)

**რეალი 94:95 ცსკა**

ძირითადი დრო 84:84

**რეალი:** ფოცისი (17), ბალოკი (17)
**ცსკა:** ანდერსენი (25), ბრაუნი (19), გრანგერი (18)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 3 | 3 | 0 | +42 | 6 |
| ბარსელონა | 3 | 1 | 2 | -9 | 4 |
| რეალი | 3 | 1 | 2 | -10 | 4 |
| სკავოლინი | 3 | 1 | 2 | -23 | 4 |

### F ჯგუფი

**პანათინაიკოსი 93:81 ტაუ**

**პანათინაიკოსი:** ლაკოვიჩი (25), ბატისტე (21)
**ტაუ:** მასიაუსკასი (18), სკოლა (17)

**ჟალგირისი 81:82 კლიმამიო**

**ჟალგირისი:** პეკი (29), ბერდი (17)
**კლიმამიო:** ლორბეკი (20), ვუიანიჩი (18)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ტაუ | 3 | 2 | 1 | +29 | 5 |
| პანათინაიკოსი | 3 | 2 | 1 | +19 | 5 |
| კლიმამიო | 3 | 2 | 1 | -5 | 5 |
| ჟალგირისი | 3 | 0 | 3 | -43 | 3 |

### G ჯგუფი

**პროკომი 59:75 აეკ**

**პროკომი:** მასიულისი (16), ნემეცი (13)
**აეკ:** ზისისი (19), ლორისი (12)

**ეფესი 52:43 ბენეტონი**

**ეფესი:** დომერჩანტი (16), სოლომონი (10)
**ბენეტონი:** მარკონატო (8), შიშკაუსკასი (7)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| აეკ | 3 | 3 | 0 | +25 | 6 |
| ეფესი | 3 | 2 | 1 | +32 | 5 |
| ბენეტონი | 3 | 1 | 2 | -3 | 4 |
| პროკომი | 3 | 0 | 3 | -54 | 3 |

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

10 მარტი

**მაიამი 107:90 მინესოტა**

**მაიამი:** ონილი (33 ქულა, 13 მოხსნა), ვეიდი (20), ე. ჯონსი (15)
**მინესოტა:** გარნეტი (22 ქულა, 19 მოხსნა), ჰადსონი (20), ჰასელი (16)

**დალასი 95:100 ლეიკერსი**

**დალასი:** ნოვიცკი (25 ქულა, 11 მოხსნა), ჰოვარდი (18 ქულა, 10 მოხსნა)
**ლეიკერსი:** ბრაიანტი (36), ოდომი (15 ქულა, 14 მოხსნა, 7 პასი)



# დიდი ომის მოლოდინში

30 აპრილიდან ავსტრიის დედაქალაქი უნიკალური მოვლენის მომსწრე გახდება. პირველად მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში, ამ ტურნირში ყველა უძლიერესი მოთამაშე გამოვა. ლაპარაკი პირველ ყოვლისა, ნჰლ-ელებზეა. მოგეხსენებათ, პროფესიონალები ადრეც მონაწილეობდნენ ჩემპიონატებში, მაგრამ მათი დასწრება შეზღუდული იყო. საქმე ის არის, რომ ამავე ვადებში ჩრდილოეთ ამერიკაში პლეი ოფი მიმდინარეობს ხოლმე და შესაბამისად, პირველობაზე მხოლოდ ის მოთამაშეები ჩადიოდნენ, რომელთა გუნდებიც ეთიშებოდნენ სათასო ბრძოლას. მაგრამ, როგორც იცით, წლეულს ნჰლ-ს ჩემპიონატი გაუქმებულია და პროფესიონალებს ხელს აღარაფერი უშლით. ამრიგად, მსოფლიოს ჩემპიონატი მსოფლიოს თასსა და ოლიმპიადას გაუტოლდება.

საინტერესოა, რომ თავიდან ლიგა იმის წინააღმდეგი იყო, რომ ნჰლ-ელები პირველობაზე გაეშვა, მაგრამ შემდეგ მოხელეებმა გადაიფიქრეს

**ლიგის** ამ გადაწყვეტილებამ ალბათ ყველაზე მეტად ევროპული გუნდების თავკაცები გაახარა. ევროპელი ლეგიონერების უმრავლესობა ამჟამად ბებერი კონტინენტის ეროვნულ ჩემპიონატებში მონაწილეობს და შესაბამისად პირველობისთვის კარგ მზადყოფნაში იქნებიან. თუმცა, მიღებული ინფორმაციის თანახმად, აშშ-ს ნაკრებიც საკმაოდ სერიოზულად ემზადება შეჯიბრებისთვის და იქ უძლიერესი შემადგენლობის ჩაყვანას აპირებს. აი, კანადელები კი სავარაუდოდ ევროპაში მოთამაშე ჰოკეისტებით აპირებენ დაკომპლექტებას. გუნდის მეთაურთა აზრით, რადგან 2006 წლის ოლიმპიურ თამაშებში ნჰლ-ელების მონაწილეობის საკითხი ძალიან საეჭვოა, ჯობს, ჩემპიონატზე ის შემადგენლობა გამოიყვანონ, რომელიც ოლიმპიურის ბირთვი გახდება. თანაც დიადმა მარიო ლემიემაც გადაიფიქრა. თავიდან სუპერმარიოს ავსტრიაში ჩასვლა სურდა, მაგრამ რადგან „პიტსბურგის" ლიდერს წლეულს სათამაშო პრაქტიკა არა აქვს, გადაწყვიტა, ტურნირს ტელევიზიით უყუროს.

რაც შეეხება სხვა ვარსკვლავებს, ჯერჯერობით ჩემპიონატში მონაწილეობის სურვილი მხოლოდ „ნიუ ჯერსის" მეკარე მარტინ ბროდომ გამოთქვა.

ნჰლ-ს ჩემპიონატი უკვე ლამის ერთი თვეა, გაუქმებულია, მაგრამ ჩრდილოეთ ამერიკის პრესაში დღემდე არ წყდება მითქმა-მოთქმა ამის თაობაზე. განსაკუთრებით ბევრს წერენ იმაზე, თუ რატომ ვერ შეთანხმდნენ ბოლო მომენტში მხარეები ახალ ხელშეკრულებაზე, გარიგება ხომ თითქმის მომწიფებული იყო. მერე მარიო ლემიემაც ცეცხლს ნავთი დაასხა. სახელოვანი ჰოკეისტის და ამავე დროს „პიტსბურგის" მფლობელის თქმით, ის მხოლოდ იმიტომ დათანხმდა მოლაპარაკებაში ჩართვაზე, რომ ნჰლპა-ს ხელმძღვანელობასთან ახლო მყოფმა ჰოკეისტებმა საიდუმლოდ აცნობეს, პროფკავშირი დათანხმდება ლიგის პირობებზე ან ახალ, ნჰლსთვის კიდევ უფრო ხელსაყრელ შეთანხმებას შესთავაზებსო. „ერთადერთი მიზეზი, რომლის გამოც მე და უეინმა მონაწილეობა მივიღეთ მოლაპარაკებაში, იყო ის, რომ ჩვენ ახალი პროექტის არსებობაში დაგვარწმუნეს. გვითხრეს, რომ პროფკავშირი 45 მილიონიან ზღვარზეა ყაბულს" — უთხრა ლემიემ პიტსბურგული „პოსტ-გაზეტის" ჟურნალისტს. მაგრამ ახალი წინადადება აღარ ყოფილა და შესაბამისად სეზონიც ვერ გადარჩა.

ამასობაში გასულ დღეებში ლიგამ და პროფკავშირმა თავისი მორიგი „პარტიული კრება" ჩაატარეს. როგორც მოსალოდნელი იყო, ორივე მხარემ ოპონენტი გააკრიტიკა და თავი გაიმართლა. თუმცა უნდა ითქვას, რომ ლიგის კრებამ კიდევ ერთხელ დაადასტურა გუნდების მფლობელთა სრული ერთსულოვნება. აი, პროფკავშირის რიგებში ამგვარი განწყობა ნაკლებად შეიმჩნევა. მაგალითად, „ბუფალოს" კაპიტანმა და ნჰლპა-ს აქტივისტმა მაიკ პეკამ გულახდილად განაცხადა, რომ პროფკავშირის ბოსმა ბობ გუდენაუმ თავი უნდა იმართლოს, ვინაიდან ბევრს აინტერესებს, „თუ რატომ ჩავარდა მოლაპარაკება". თავის მხრივ, აგენტმა დონ მიხენმა, რომლის კლიენტი ოცამდე ჰოკეისტია, განაცხადა, როგორც მოთამაშეთა, ასევე ჩემს კოლეგებს შორის არიან ისეთები, რომლებსაც პროფკავშირების ლიდერებისგან განსხვავებული აზრი აქვთ.

ასეა თუ ისე, სეზონი ჩაფლავდა და ახლა მომავალზე ფიქრია საჭირო. ჰოდა, როგორც ზემოთ ხსენებულმა კრებებმა ცხადყო, ამჟამად ლიგა უფრო დაინტერესებული იმაში, რომ ახალი ხელშეკრულება რაც შეიძლება მალე გაფორმდეს. ლიგის კომისიონერმა გერი ბეტმენმა პროფკავშირს შესთავაზა, რაც შეიძლება სწრაფად განაახლონ მოლაპარაკება, მაგრამ ასოციაციას ახლა საქმის გაჭიანურება უფრო აძლევს ხელს, ვინაიდან მოთამაშეები ისედაც ოქტომბრამდე ხელფასს აღარ მიიღებენ და დასაკარგი აღარაფერი აქვთ. თუმცა, ზედმეტი ყოყმანიც შეიძლება ძვირად დაუჯდეს ნჰლპა-ს, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში ლიგას შეუძლია, სასამართლოს მიმართოს და დაშალოს პროფკავშირი. ერთი სიტყვით, წინ დიდი ომი გველის.

**სამველ ლარიბიანი**

# პროგრესის კანონზომიერება

**საქართველომ** რომ რუმინეთში იქაურები დაამარცხა და ერთა თასი მოიგო, ამას რა დაგვავიწყებს. მაშინ ეს ჩვენი ნაკრებისთვის დიდი, ძალიან დიდი წარმატება იყო, რომელმაც მოძავლის იმედი ჩაგვისახა. ასეთ ბრძოლას რომ მოიგებ, არ უნდა გაჩერდე, უნდა მოუმატო, მეტს უნდა მიაღწიო, თორემ რასაც გუშინ გმირობად ჩაგითვლიდნენ, ის ხვალ შეიძლება გაუფერულდეს...

არც გაჩერებულან „ბორჯღალოსნები" — გამოხდა ხანი და მსოფლიოს თასზე მოვხვდით. ჩვენ მოვახერხეთ ის, რისთვისაც პოსტსაბჭოური სივრციდან ჯერ არავის მიუღწევია და უახლოეს მომავალშიც ვერ მიაღწევს.

მერე რა ლამაზად მოხდა ეს ყველაფერი! თბილისში სავსე ტრიბუნების თვალწინ ჩრდილოელი „დათვები" წავაქციეთ. ისინი აქედან რუსეთში დაბრუნდნენ, ჩვენ კი ავსტრალიაში გავემგზავრეთ. იქ ჩასულები, პირველად მოვხვდით ნამდვილი, დიდი რაგბის სამყაროში. იქ, ავსტრალიის ცის ქვეშ, ინგლისელები და სამხრეთაფრიკელები გველოდნენ. ალარსად ჩანდნენ ჩეხები, ესპანელები, ჰოლანდიელები თუ გერმანელები, რომელთაც რაგბისა ბევრი არაფერი გაეგებათ და რომელთა დარ ნაკრებებთანაც ვიყავით ნაჩვევნი თამაშს. მერე რა, რომ იქ ყველა თამაში წავაგეთ — ავსტრალიაში მოხვედრაც ხომ საქმე იყო. პროგრესის კანონზომიერება კი ის იქნება, თუ შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონატზე უკეთ ვითამაშებთ.

განიცდის თუ არა საქართველოს ნაკრები პროგრესს? ამ კითხვაზე პასუხს დღევანდელი თამაშის შემდეგ მივიღებთ. დღეს რუმინეთს უნდა ვძლიოთ. უნდა დავამარცხოთ ეს უპრინციპულესი მეტოქე, თორემ საფრანგეთში მოსახვედრი ისედაც ეკლიანი გზა უფრო გაგვიძნელდება.

ძნელი იქნება რუმინელთა ძლევა, აკი მხოლოდ ერთხელ მოგვიხერხდა ამის გაკეთება, ისიც ბოლო წუთზე, ლეონსიოს გმირობის წყალობით.

დღეს ლეონსიო არ გვეყოლება „პენსიაზე" გასული ალბათ თამაშს ტრიბუნიდან ადევნებს თვალს, მაგრამ მინდორზე გასული მოთამაშეების თვალებში თუ დავინახეთ ის, რასაც ლეონსიოს მზერაში ვხედავდით, აუცილებლად გავიმარჯვებთ.

**ლადო ფულუკიძე**

# მამლების ანგინა

**ჩვენთვის** მთავარი მატჩი დღეს სამ საათზე ეროვნულ სტადიონზე გაიმართება, თუმცა მსოფლიოს რაგბის ქომაგთათვის უფრო მნიშვნელოვანი ამბებიცაა დაგეგმილი.

6 ერის ტურნირი დასასრულს უახლოვდება. 2 ტურია დარჩენილი ფინიშამდე და საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ჩემპიონ „მამლებს" მგონი ანგინა შეჰყრიათ, შარშანდელივით ძლიერად ველარ ყივიან გამარჯვების ნიშნად და ტიტულს ველარ შეინარჩუნებენ. შარშან გაჩემპიონებულმა ფრანგებმა წინა ტურში უელსისგან იგემეს მარცხი. ცხრილსაც ირლანდია და უელსელი „დრაკონები" მოქცევიან სათავეში.

ბოლოსწინა ტურია და ფრანგი „მამლები" „ლენსდაუნ როუდზე" ირლანდიას სტუმრობენ, რომელთაც, „დრაკონთა" მსგავსად, აქამდე სამჯერ უმარჯვიათ, ბოლოს კელტ-იბერებმა ინგლისელები წააქციეს.

საქვეყნოდ შერცხვენილი და თავლაფდასხმული ინგლისის ნაკრები, რომელმაც მიჯრით წააგო უელსთან, საფრანგეთთან და ირლანდიასთან, დღეს თვიქნემში იტალიას მოუგებს და ეგებ პრესტიჟის ამბავში საბოლოოდ არ „ჩაიჭრას".

ერთი მატჩიც ხვალაა, შოტლანდია ედინბურგში უელსს მასპინძლობს და დიდი ჯაფა დაადგება, ბრწყინვალე ფორმაში მყოფ „დრაკონების" შეჩერება თუ სცადა.

**ლადო ფულუკიძე**

# ქართულ-რუმინული ჯიბარი





ავთანდილ მეკვაბიშვილის ფოტოები

**კაფე** „მსოფლიო სპორტში" რაგბის მესვეურებმა გუშინ პრესკონფერენცია გამართეს, რომელიც, ბუნებრივია, ბორჯღალოსნების დღევანდელ მატჩს ეძღვნებოდა.

გუშინ ჩვენი ნაკრები გორში იყო შეკრებაზე, ამიტომ ჟურნალისტების წინაშე მოთამაშეები და მთავარი მწვრთნელები ვერ წარსდგნენ. სამაგიეროდ, რაგბის ფედერაციის აღმასრულებელი დირექტორი ირაკლი ჩხეიძე, ვიცე-პრეზიდენტი კოკა ლაზიშვილი და ნაკრების მენეჯერი მალხაზ ნაცვლიშვილი გვესაუბრნენ.

პრეს-კონფერენცია მალხაზ ნაცვლიშვილმა გახსნა და ორიოდ სიტყვით ნაკრების მზადებასა და მეტოქის განწყობაზე ისაუბრა.

ბორჯღალოსნები გორში ემზადებოდნენ და საწუწუნო არაფერი აქვთ. შიდა ქართლის ადმინისტრაცია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ნაკრებს და ბიჭებს არც ვარჯიში მოკლებიათ, არც კომფორტი და არც მოედანი.

სხვათა შორის, საფეხბურთო კლუბმა „დილამ" მორაგბეებს სავარჯიშოდ საკუთარი მინდორი დაუთმო. არც ტრავმიანობა გვაწუხებს ზედმეტად. ნაკრების ყველა წამყვანი მოთამაშე სრულ მზადყოფნაშია და რუმინელთა დასახვედრად მზადაა. უკრაინასთან შესუსტებული შემადგენლობით თამაშისგან განსხვავებით, სარუმინეთოდ გუნდი აშკარად მოძლიერებულია. პალიკო ჯიმშელაძე 10-ნომრიან მაისურას მოირგებს. გორშია გია ლაბაძეც, რომლის გამოცდილებაც ხვალ ფასდაუდებელი იქნება. მახო ურჯუკაშვილიც აუცილებლად დაიკავებს ადგილს უკანა ხაზში, თუმცა რა ნომრის პოზიციაზე, ეს ჯერ არ გადაწყვეტილა."

მალხაზ ნაცვლიშვილის თქმით, არც რუმინელები მოდიან უჯიგროდ. მათი მთავარი პრობლემა ხომ მუდამ ის იყო, რომ ლეგიონერებს ვერ იყენებდნენ, ახლა კი ყველა ძლიერი შეუკრებიათ და ჩვენდარად, არც ტრავმებს უჩივიან.

ერთი სიტყვით, ერთი ქართული ფილმისა არ იყოს, ისინი ამბობენ, ბიჭები ვართ და მოვდივართ, ბიჭები ხართ და დაგვხვდითო.

შემდეგ ირაკლი ჩხეიძემაც თქვა რამდენიმე სიტყვა — ჩვენს გუნდში განსაკუთრებული საბრძოლო განწყობა სუფევს და სხვაგვარად არც შეიძლება იყოს. რუმინელებთან ხომ უბრალო მატჩი არ არის, ყველაფერთან ერთად ანთიმოზ ივერიელის თასიც თამაშდება, რომლის თბილისში დასატოვებლად არც ოფლის ღვრა უნდა დავიშუროთ და არც ჯან-ღონეო.

კოკა ლაზიშვილმა უფრო ვრცლად ისაუბრა საკუთრივ მატჩზეც და საერთოდ ქართულ რაგბიში შექმნილ დადებით ვითარებაზეც. მისი თქმით, დღევანდელ სარაგბო სამყაროში სრული ჰარმონიაა და თუკი ვინმე გარკვეულ საკითხებში ფედერაციას არ ეთანხმება, დღეს ეს წვრილმანები გადადებულია და მთელი სარაგბო ოჯახი ერთ მუშტად შეკრული ელოდება რუმინეთთან გასამართ ბრძოლას. ამის დასტურად თემურ ბენდიაშვილის მაგალითი დასახელდა. იგი ფედერაციას ზოგ საკითხში ოპონირებას უწევს, მაგრამ ეროვნული ნაკრებისთვის ისე გაისარჯა, როგორც პატრიოტს ეკადრებოდა.

საქმე ის გახლავთ, რომ არც რუსებმა და არც რუმინელებმა მათი ურთიერთშეხვედრის ვიდეოჩანაწერი არ მოგვაწოდეს. თემურ ბენდიაშვილი თავად წამოადგა თავს შეკრებაზე მყოფ რუსეთის ნაკრებს და მათ მთავარ მწვრთნელ მირონოვსა თუ ცალკეულ მოთამაშეებს უამრავი რამ გამოჰკითხა: ჩრდილოელმა მეზობლებმაც ყველაფერი დაფქვეს და ბენდიაშვილიც საქართველოში ინფორმაციით დახუნძლული ჩამოვიდა.

ასეა საქმე, ნაკრების მესვეურნი გვპირდებიან ბრძოლას, რომელშიც ბორჯღალოსნები მეტოქეს არაფერს დაუთმობენ.

ბოლოს ახალი სათამაშო ფორმის პრეზენტაციაც შედგა. სამოსი ფირმა „საროს" მიერაა შეკერილი და ამიერიდან ბორჯღალოსნებს ისინი შემოსავენ. ახალი ფორმები სტადიონზე ხვალიდანვე გაიყიდება და ზურგზე 16 ნომერი ეწერება, თუმცა სულაც არაა აუცილებელი, ეს ფორმა იყიდოთ, რომ გუნდის მეთექვსმეტე მოთამაშედ იქცეთ. მთავარია, მოსვლა არ დაიზაროთ და ნაკრებს უქომაგოთ.

**საქართველო:** მამუკა მაგრაქველიძე, აქვსენტი გიორგაძე, დავით ზერაქაშვილი, ილია ზედგინიძე (კაპ), მამუკა გიორგაძე, ზვიად მაისურაძე, გია ლაბაძე, ბესიკ უდესიანი; ირაკლი აბუსერიძე, პალიკო ჯიმშელაძე; ირაკლი მაჩხანელი, ირაკლი გიორგაძე, თედო ზიბზიბაძე, მალხაზ ურჯუკაშვილი, ოთარ ბარკალაია

*სათადარიგონი:* ავთანდილ კოპალიანი, მიხეილ სუჯაშვილი, ლევან დათუნაშვილი, რატი ურუშაძე, ბიძინა სამხარაძე, ლევან ფირფილაშვილი, ზვიად კობერიძე

**რუმინეთი:** პეტრუ ბალანი, მარიუს ტინკუ, მარსელ სოსაჩუ, სორინ სოკოლი, კრისტიან პეტრე, კოსტიჩა მერსუ, ფლორინ კოროდინუ, მარიან ტუდორი; ლუჩან სირბუ, იონუც ტოფანი; იოან ტეოდერესკუ, რომეო გონტინიაკი, ვალი მაფტეი, კრისტიან სუანი, დანუტ დუმბრავა

*სათადარიგონი:* ჩეზარ პოპესკუ, მავროდინ რაზვანი, ბოგდან ბალანი, გეორგე ობრისონი, იულიან ანდრეი, დარიე კურეა, ვისილე გიოჩი

## საქართველოს XV ჩემპიონატი. მეორე წრე

თბილისი. სტუ-ს დარბაზი

„ბ“ ქვეჯგუფი, 11 მარტი

**საუ-მამული 42:19 ქუთაისი**

საუ-მამული: რობაქიძე, ხონელიძე, წივწივაძე (15 გოლი), ცოტაძე (7), კობახიძე (4), ხუციშვილი (4), ოსიყმაშვილი (3), ლალანიძე (2), მაისურაძე (2), გელაშვილი (2), ჭელიძე (1), შონია (1), ყაველაშვილი (1), სიხარულიძე

ქუთაისი: ხინგავა, ნიქაბაძე, მამასახლისი (5), ჩუბინაშვილი (5), ცერცვაძე (4), შარაშენიძე (2), გოგონაძე (2), დოლაკიძე (1), გობეჯიშვილი, მამაცაშვილი, აბულაძე

*მსაჯები:* ელენე არაბული, ზურაბ წვერიკმაზაშვილი

**ჭაბუკები 27:19 სამტრედია**

ჭაბუკები: კუპატაძე, პაპავა, გიგა ტორონჯაძე, გიორგი ჩიქოვანი (8), ჯორბენაძე (6), მსხვილიძე (4), ირაკლი ჩიქოვანი (3), ჯოხარიძე (3), მელქოშვილი (2), კაიშაური (1), ირაკლი ტორონჯაძე, ზაალიშვილი, წულაძე, ფერაძე

სამტრედია: ბერეკაშვილი, ჯოჯუა (7), კარაკაშიანი (4), ქავზინაძე (3), ნიკურაძე (2), კაკაბაძე (2), დუნდუა (1), ხელისუფალი, ბოცვაძე, ხვიჩია, ლომსაძე, ჯულაყიძე, ქანტურია, ხარებავა

*მსაჯები:* ელენე არაბული, ზურაბ წვერიკმაზაშვილი

# მამულს არ გასჭირვებია

**გუშინ**, დასკვნით შეხვედრაში, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის „მამულს“ არა გასჭირვებია შესუსტებულ შემადგენლობიანი „ქუთაისის“ ძლევა და ტურის სამივე მატჩის მოგებით ცხრილში მეოთხე ადგილზე აინაცვლა.

კვლავ გამოირჩა შედეგიანობით მამულელთა კაპიტანი გიორგი წივწივაძე. 22 წლის ათლეტური აღნაგობის სწრაფი ფორვარდი, ჩვენი აზრით, მთელი ტურის საუკეთესო მოთამაშე იყო. მან სამ შეხვედრაში 46 გოლი გაიტანა 90 დაუგროვდა და ბომბარდირთა სიაში მეხუთეა. თუმც ისიცაა აღსანიშნავი, რომ წივწივაძემ პირველი წრის ერთი ტური საერთოდ გამოტოვა, რადგან იმხანად ირანის ჩემპიონატში გამოდიოდა თავრიზის „ბელედიე შაჰთარის“ შემადგენლობაში.

25 ზუსტი სროლა მიითვალა სამტრედიელმა მერაბ ჯოჯუამ და მასაც 90 გოლი მოუგროვდა. „სამტრედიამ“ სამივე შეხვედრა კი წააგო, მაგრამ აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის მონდომება, რომლითაც მოთამაშე-მწვრთნელის გოგი ხელისუფალის ბიჭები იბრძვიან. რაც უფრო სასიამოვნოა, ის ყურადღება გახლავთ, რომელსაც გუნდის მიმართ იჩენს სამტრედიის რაიონის გამგეობა, შეძლებისდაგვარად ეხმარებიან ფინანსურად და არა მარტო „დიდებს“ — სამტრედიელი ხელბურთელები საქართველოს ბავშვთა ლიგის ჩემპიონატშიც მონაწილეობენ.

ტურზე „ბათუმის“ ჩამოუსვლელობის შესახებ ხელბურთის ეროვნული ასოციაცია ორშაბათს იმსჯელებს და ალბათ, გუნდს სათანადოდაც დასჯის.



„ქუთაისის“ კარს უტევს მამულელი გიორგი წივწივაძე

მერაბ დოლიძევიშვილის ფოტო

| | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| სტუ-შევარდენი | 12 | 0 | 1 | 429:296 | 24 |
| თბილისი | 11 | 1 | 1 | 361:290 | 23 |
| ქარიშხალა | 8 | 1 | 4 | 384:352 | 17 |
| საუ-მამული | 7 | 1 | 4 | 460:339 | 15 |
| თელავი | 7 | 0 | 6 | 348:325 | 14 |
| ქუთაისი | 6 | 1 | 5 | 372:365 | 13 |
| ჭაბუკები | 5 | 0 | 7 | 288:335 | 10 |
| ბათუმი | 1 | 1 | 7 | 226:287 | 3 |
| სამტრედია | 1 | 1 | 10 | 286:413 | 3 |
| გორი | 0 | 0 | 13 | 267:426 | 0 |



# გაფიცვა პატრიოტულად

**პარიზისთვის**, რომელიც 2012 წლის ოლიმპიური თამაშების სამასპინძლოდ კანდიდატ ქალაქთა შორის ფავორიტად ითვლება, ერთ-ერთი მთავარი კოზირი საზოგადოებრივი ტრანსპორტის ბრწყინვალე სისტემაა. პარიზელთა სამწუხაროდ, როგორც ვიუწყებოდით, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის შემფასებელი კომისიის წევრებს, რომლებიც საფრანგეთის დედაქალაქში დასკვნების გამოსატანად ჩავიდნენ, ქალაქის სატრანსპორტო მუშაკები ეროვნული გაფიცვით დახვდნენ. მათ სხვებმაც აუბეს მხარი, რომლებიც მთავრობის სოციალური რეფორმების წინააღმდეგ მოითხოვნით გამოდიან. პროფკავშირები, უწინარესო ყოვლისა, მოითხოვენ კვირაში 35-საათიანი სამუშაო დროის გაუქმებას. ისინი აგრეთვე მოითხოვენ სამუშაო ადგილებისა და ხელფასების შენარჩუნებას. ამ მოთხოვნებით ხუთშაბათს საქალაქთაშორისო მატარებლები უსაქმოდ იდგნენ. შეჩერებული იყო სწრაფი მატარებლების მოძრაობაც; მეტროპოლიტენში სხვადასხვა ხაზები სხვადასხვაგვარად მუშაობდნენ — ერთგან რომ ჩვეულებისამებრ მუშაობდნენ, მეორეგან მოძრაობა შეზღუდული ან მთლიანად შეჩერებული იყო.

პარიზის ორლისა და შარლ დე გოლის აეროპორტებიდან საჰაერო რეისები გადაიდო...

„პარიზი - 2012“-ის საორგანიზაციო კომიტეტის ბედად, გაფიცულები თავიანთ პროტესტს ძირითადად გამოხატავდნენ დედაქალაქის აღმოსავლეთით, რომელიც სტადიონებისგან და სხვა სპორტული ნაგებობებისგან საკმაოდ შორსაა.

და მაინც, ბი-ბი-სის კორესპონდენტი იუწყება, რომ საგაფიცვოდ იმ დღის შერჩევა, როცა სოკელი სტუმრები პარიზში არიან, ყველაზე უარესი სცენარიაო, პროფკავშირების ლიდერები კი აცხადებენ, რომ მათ არაფერი აქვთ საწინააღმდეგო პარიზის ოლიმპიურ მიზნებთან. მეტიც, ისინი ამბობენ, რომ მხარს ვუჭერთ პარიზის ოლიმპიურ განაცხადსო და ამის ნიშნად გაფიცულებმა ჩაიცვეს მაისურები წარწერებითა და სამკერდე ნიშნებით „პარიზი 2012“.

ასეთ ვითარებაში პარიზის მერი ბერტრან დელანოე ცდილობდა ხასიათის გამოკეთებას. ზოგი ჭირი მარგებელიაო და დელანოე ამბობდა, ამ გაფიცვებიდან სარგებლის გამოღნობაც შეიძლება, თუ ამ მინუსს პლიუსად გადავაქცევთ და დავამტკიცებთ, რომ პრობლემების გადაჭრის უნარი გაგვაჩნიაო.

ასე იყო თუ ისე, შემფასებელი კომისიის წევრებმა, როგორც ვიუწყებოდით, ჯერ მოინახულეს მომავალი ოლიმპიური სოფლის ადგილი და „სტად დე ფრანსის “ სტადიონი, რომელსაც სახელი გამოუცვალეს და ახლა უწოდეს „სტატ დე ფრანს პარიზი - 2012“. შემდეგ სოკ-ის კომისიის წევრებმა დაათვალიერეს როლან გაროსის კორტები და ეიფელის კოშკი, რომლის ძირშიც დაგეგმილია ოლიმპიური საპლიაჟო ფრენბურთის წარმომადგენელთა შეჯიბრებები.



სოკელი სტუმრები ეიფელის კოშკზე

REUTERS პარიზიდან

**ავთანდილ ჭყვიშელი**





## ლინარესის სუპერტურნირი

ესპანეთი. 22 თებერვალი - 10 მარტი

**XIV ტური**

პეტერ ლეკო (უნგრეთი) — ფრანცისკო ვალეხო (ესპანეთი) 0,5:0,5

ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) — გარი კასპაროვი (რუსეთი) 1:0

ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) — მაიკლ ადამსი (ინგლისი) 0:1

*რუსტამ კასიმჯანოვი (უზბეკეთი) — დაისვენა*

# კასპაროვი ჭადრაკიდან წავიდა, 9 წლის შემდეგ კი ყველაზე კარგი ტოპალოვია

**წლევანდელი** ლინარესის სუპერტურნირი ალბათ მსოფლიოს საჭადრაკო ისტორიაში შევა და გულშემატკივრებს დიდხანს ემახსოვრება, რადგან იგი მეცხრედ მოიგო კასპაროვმა და კარიერაც ამით დაასრულა.

„ჯერ კიდევ ტურნირის დაწყებამდე გადავწყვიტე, რომ ლინარეს-2005 ჩემი ბოლო დიდი გამოსვლა იქნებოდა, დღეს კი, როგორც პროფესიონალმა, ბოლო პარტია ჩავატარე. ამის შემდეგ მხოლოდ სამოყვარულო მატჩებს ვითამაშებ, მივიღებ მონაწილეობას სწრაფი ჭადრაკის ტურნირებში და ერთდროულ სეანსებსაც გავმართავ“ — განაცხადა პლანეტის საუკეთესო მოჭადრაკემ.

კასპაროვი, რომელსაც მალე 42 წელი შეუსრულდება, უკვე 30 წელია, რაც დიდ ჭადრაკში ტრიალებს და 20 წელი მსოფლიოს უპირველესი მოჭადრაკე იყო.

ტოპალოვთან პარტიაში კასპაროვმა კარგად ნაცადი სიცილიური დაცვა გაითამაშა, ფიგურების განვითარებას შეუდგა და ცენტრიდან მიაწვა მეტოქეს. ბულგარელმა წამოსული მტრის შესაჩერებლად იერიშები დაიწყო, რამდენიმე ფიგურა გაუცვალა რუსს, 20-ე სვლაზე კი იგი შეცდომაზე დაიჭირა და პაიკი ააცალა. 24-ე სვლაზე კასპაროვს მხოლოდ მეფე და ექვსი პაიკი შერჩა, ტოპალოვს — იგივე ფიგურები, მხოლოდ ერთი პაიკით მეტი. მეტოქეებმა პაიკებით გააგრძელეს ბრძოლა, სადაც უმრავლესობაში დარჩენილმა ბულგარელმა იძალა და 30-ე სვლაზე ისტორიულ გამარჯვებას მიაღწია.

წლევანდელი ლინარესი კარიერაში ერთ-ერთი საუკეთესო იქნება ბულგარელი სპორტსმენისთვის. მან სუპერტურნირის ბოლო ტურამდე შეუნარჩუნა ინტრიგა და კასპაროვთან ერთად პირველ-მეორე ადგილებიც გაიყო, თუმც დამატებითი მაჩვენებლებით ჩემპიონი საქმე იმაშია, რომ კასპაროვს შავი ფიგურებით ბულგარელთან ერთი პარტია მოიგო და ამ შედეგით პირველობა მას ეკუთვნის. აღსანიშნავია, რომ ამ პარტიამდე კასპაროვი ტოპალოვთან 9 წელია, არ დამარცხებულა.

ერთ-ერთი ჟურნალისტის თქმით, წაგებამ საშინლად გააღიზიანა კასპაროვი. პარტიის დასრულების შემდეგ იგი წყობიდან გამოვიდა, ერთ-ერთ ჟურნალისტ ქალს უყვირა და დარბაზი აღელვებულმა დატოვა, უკან კი აცრემლებული დედამისი კლარა გაჰყვა.

„ეს ბოლო პარტია ყველაზე მძიმე იყო ჩემთვის, რადგანაც კარიერაში საბოლოო გამარჯვება და მინდოდა ღირსეულად ჩამეთავრებინა“ — თქვა კასპაროვმა. ჭადრაკიდან წასული დიდოსტატი აპირებს, გამოსცეს წიგნი — „როგორი ცხოვრება ჭადრაკი ცხოვრებაში“, იგი მკითხველს სწორი გადაწყვეტილებების მიღებაში დაეხმარება.

გარდა კასპაროვის წასვლისა, სუპერტურნირზე სხვა საინტერესო ამბავიც მოხდა — ზედიზედ 12 პარტიაში ითამაშა უნგრელმა პეტერ ლეკომ და ამით ერთგვარი რეკორდი დაამყარა.

**ლაშა გეგეჭკორი**

| | | |
|---|---|---|
| 1. | გარი კასპაროვი (რუსეთი) | 8 ქულა/12 პარტია |
| 2. | ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) | 8/12 |
| 3. | ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) | 6,5/12 |
| 4. | პეტერ ლეკო (უნგრეთი) | 6/12 |
| 5. | მაიკლ ადამსი (ინგლისი) | 5,5/12 |
| 6. | რუსტამ კასიმჯანოვი (უზბეკეთი) | 4/12 |
| 7. | ფრანცისკო ვალეხო (ესპანეთი) | 4/12 |



REUTERS

# ავსტრიული ხედები

*ეს დასავლეთ ავსტრიის ხედებია. ჰოხფილცენში სამთო თხილამურობის მსოფლიოს თასი მიმდინარეობს. თოვლი და ყინული აქ ბევრია და თეთრი სილამაზეც უხვადაა. თუმცა, მოშეჯიბრეებს მაინც სცხელათ: ნორვეგიელ მოსლალომეს ლასე კიუსს წონასწორობა დაუკარგავს და სწორედ გიგანტური სლალომის ფინალში წამხდარა.*



REUTERS




REUTERS

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნარობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი კაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხომერიკი, კაკა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კლაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი ჰურტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბეხელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი ღვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაб წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge